

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

№9

რექტორისაგან

ტრადიციული მრავალხმიანობის
V საერთაშორისო სიმპოზიუმი

სიახლეები

ქართული სიმღერის უცხოელი
შემსრულებლები.

ქართული ხალხური სიმღერა
აგსტრალიაში

ერთი ქართული ფოლკლორული
ანსამბლი.

„ნანინა“

უცხოელები ქართული
ფოლკლორის შესახებ.

ჯ. ფაუცი. პირველი შეგრძნებები

მრავალხმიანობა მსოფლიოში.

ლიტვური მრავალხმიანობა
„სუტარტინესი“

ქართული მეცნიერებისა და
კულტურის კერები.

ქართული ხალხური სიმღერისა
და საკრავების სახელმწიფო
მუზეუმი

ქართული სიმღერის მოამაგეები.
კარლო ურუშაძე

ქართველი ეთნომუსიკოლოგები.
ვალერიან მაღრაძე

მანანა შილაკაძის გახსენება

საქართველოში მცხოვრები
ხალხების მუსიკალური

ფოლკლორი.

აფხაზური და ოსური ხალხური
სიმღერის შესწავლისათვის

ძველი პრესის ფურცლებზე.
ო.ჩიჯავაძე. „მუსიკა იპყრობს
მრავალთა გულს“

ერთი სიმღერის ისტორია.
„შაფლეგო“

რედაქტორი:
მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:
მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თამაზ გაბისონია
ლევან ვეშაპიძე

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2010

eISSN 1512-228X

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108,

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.
ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: polyphony@polyphony.ge; polyphony@conservatoire.edu.ge;

www.polypohny.ge

რედაქტორისაგან

ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრის პერიოდული ბიულეტენის რიგით მე-9 ნომერში მკითხველი გაეცნობა საქართველოს ფოლკლორულ ცხოვრებაში 2010 წლის მეორე ნახევარში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს, ქართული ფოლკლორის ქართველ და უცხოელ შემსრულებლებს, ჩვენი კულტურის დვაწლმოსილ მოამბეებს და ა.შ.

ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ტრადიციული მრავალხმიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის შესახებ მოკლედ გიამბობთ მისი საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე და სამეცნიერო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფ. რუსუდან წურწუშია.

სიმპოზიუმის მომწყობები, მონაწილეები და ქართული ფოლკლორის გულშემატკივრები ერთხმად აღიარებენ, რომ მსოფლიო მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი ეს საერთაშორისო ფორუმი აფართოებს ჩვენს ურთიერთობებს მსოფლიო სამეცნიერო და საშემსრულებლო ფოლკლორულ წრეებთან და ღირსეულად წარმოაჩენს ქართულ კულტურას.

ბიულეტენში გაეცნობით ქართულ ფოლკლორულ ცხოვრებაში მომხდარ სიახლეებს; რუბრიკაში „ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი“ მოგიხსრობთ ქალთა ფოლკლორული ანსამბლის „ნანინას“ შესახებ; რუბრიკა „ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები“ – ახლოს გაგაცნობთ ავსტრალიურ ფოლკლორულ ანსამბლ „გორანს“; რუბრიკა „უცხოური მრავალხმიანობა“ ლიტვურ ფოლკლორს ეძღვნება; ახალგაზრდა ამერიკელი მეცნიერის – ჯერემი ფაუცის წერილი გაგაცნობთ მის დამოკიდებულებას ქართულ ფოლკლორთან; რუბრიკა „ქართული სიმღერის მოამბეები“ მივუძღვენით ცნობილ ქართველ ლოტბარს კარლო ურუშაძეს; „ქართველი ეთნომუსიკოლოგები“ ვალერიან მაღრაძის მოღვაწეობას გაგაცნობთ, „ქართული კულტურისა და მეცნიერების კერებში“ მოგიხსრობთ საკრავების მუზეუმის შესახებ; რუბრიკაში „ერთი სიმღერის ისტორია“ გთავაზობთ უძველესი ქართული სიმღერის „შავლეგოს“ ისტორიასა და მის სანოტო ჩანაწერს.

წინამდებარე ბიულეტენი მკითხველს ტრადიციულთან ერთად ახალ რუბრიკებსაც სთავაზობს. ესენია: „ძველი პრესის ფურცლებზე“ და „საქართველოში მცხოვრები ხალხების მუსიკალური ფოლკლორი“.

XIX საუკუნის ბოლოდან ქართული გაზეთების ფურცლებზე ხალხურ შემოქმედებასა და მის შემსრულებლობასთან დაკავშირებით ქვეყნდებოდა ქართველი მოღვაწეებისა და ფოლკლორისტების სტატიები. მათში განხი-

ლულ საკითხთაგან ბევრს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს ბიულეტენში შემოგვეტანა რუბრიკა „ძველი პრესის ფურცლებზე“, რომელიც, გამოამზეურებს მივიწყებულ მასალას და, ვფიქრობთ, მკითხველის დიდ ინტერესს გამოიწვევს.

რუბრიკაში „საქართველოში მცხოვრები ხალხების მუსიკალური ფოლკლორი“ მკითხველი ამჯერად გაეცნობა აფხაზების, ხოლო მომდევნო ნომერებში – ოსების, სომხების, აზერბაიჯანელების, ებრაელებისა და სხვათა მუსიკალურ შემოქმედებას, მისი შესწავლის მდგომარეობასა და მრავალ სხვა საინტერესო საკითხს.

მაკა ხარძიანი

ტრადიციული მრავალხმიანობის V საერთაშორისო სიმპოზიუმი

ტრადიციული მრავალხმიანობის V საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის ერთ-ერთი მთავარი თემა ქართული მრავალხმიანი სიმღერა-გალობაა, 2010 წელს დაემთხვა სვეტიცხოვლის აგების 1700 და განახლების 1000 წელს და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ამ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

სიმპოზიუმი ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით. მისი ორგანიზატორები იყვნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (პროფ. მ. დოიჯაშვილი), და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი (პროფ. ა. ერქომაიშვილი). სიმპოზიუმის მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა თბილისის კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (პროფ. რ. წურწუშია) ბაზაზე და მასში მონაწილეობდა ამავე ცენტრის სახლვარგარეთული ბიურო (პროფ. ი. ჟორდანიას).



სიმპოზიუმის მონაწილე მეცნიერები ფორუმის გახსნაზე

წლებადღეული სიმპოზიუმი კიდევ უფრო წარმომადგენლობითი იყო, ვიდრე წინა სიმპოზიუმები. მასზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 16 ქვეყანა (ავსტრალია, ავსტრია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, იაპონია, კანადა, რუსეთისადიღე, საფრანგეთი, საქართველო, სერბეთი, ტაივანი, შვეიცარია, შოტლანდია), სამეცნიერო სესიებში მონაწილეობა მიიღო 39 მეცნიერმა, ხოლო საკონცერტო პროგრამაში – 30 საშემსრულებლო ჯგუფმა.

გარდა სამეცნიერო სტატიებისა, სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო ცნობილი შვეიცარიელი ეთნომუსიკოლოგის ჰუგო ზემპის 2 ფილმი: „სამგლოვიარო საგალობლები ქართული კავკასიიდან“ და „ჩერიანას მრავალხმიანობა: საკოს გუნდი“, ასევე, სოსო ჩხაიძის დაუმთავრებელი 7 სერიანი ფილმის „შიდკაცას“ ერთი ნაწილი, რომლებიც ნაჩვენებია იქნა კინოთეატრ „რუსთაველში“.

სიმპოზიუმის სამეცნიერო სესიებზე წარმოდგენილი მოხსენებების თემატიკა მრავალფეროვანი იყო: მრავალხმიანობის მუსიკალური ენა და რეგიონული სტილები, მრავალხმიანობის ისტორიული ჩანაწერები, ტრადიციული და პროფესიული მუსიკის ურთიერთმიმართება, მრავალხმიანობა ტრადიციულ სასულიერო მუსიკაში, თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი თემა, რომელიც პირველად იყო წარმოდგენილი არა მარტო ჩვენს სიმპოზიუმზე, არამედ, არასოდეს ყოფილა მრავალხმიანობისადმი მიძღვნილ სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე: ესაა აზიური და კავკასიური მრავალხმიანობა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სულ უფრო იზრდება არაქართველი მეცნიერების მიერ ქართული მრავალხმიანობის შესწავლის შემთხვევები, რაც ჩვენი სიმპოზიუმის დამსახურებაცაა. წელს წარმოდგენილი იყო 8 უცხოელი მეცნიერის მოხსენება ქართულ თემატიკაზე. საინტერესოა, რომ ქართული პოლიფონიით დაინტერესებას იჩენენ არამარტო ახალგაზრდები (მაგალითად, ჯონ გრემი და

ჯერემი ფაუცი აშშ-დან, ანდრეა კუზმინი კანადიდან), არამედ მრავალხმიანობის საქვეყნოდ აღიარებული მკვლევარები (მაგალითად, პროფ. ფრანც ფოედერმაირი ავსტრიიდან, პროფ. სიმპა არომი საფრანგეთიდან, პოლო ვალეჰო ესპანეთიდან, იაპონელ მეცნიერთა ჯგუფი).

სამეცნიერო ფორუმს თან ახლდა ასევე ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო მუსიკალურ-კულტურული პროგრამა. თბილისის კონსერვატორიის დიდ და მცირე საკონცერტო დარბაზებში გამოდიოდნენ ქართული და მსოფლიო მრავალხმიანობის შემსრულებლები. ქართულთან ერთად წარმოდგენილი იყო კორსიკული, ავსტრიული, ლიტვური და ჩეხური (ქისტები პანკისის ხეობიდან) მრავალხმიანობა ავთენტური შემსრულებლების მიერ.

ჩვენს ტრადიციულ სტუმრებთან ერთად, როგორებიც არიან ანსამბლები „გორანი“ (ავსტრალია), „სპარტიმუ“ (საფრანგეთი), „მასპინძელი“ (დიდი ბრიტანეთი), მრავლად გვევწვივნენ ანსამბლები, რომლებმაც პირველად იმდერეს საქართველოში. ესენი არიან: „კიტკა“ (ქალთა ანსამბლი აშშ-დან), „ბრიზინგ სფის“ (ქალთა ანსამბლი ავსტრალიიდან), „ლინდაბრუნენ დრაიგეზანგ“ (იოდლის შემსრულებელი ტრიო ავსტრიიდან), „თაბუნი“ (ქალთა ანსამბლი დიდი ბრიტანეთიდან), „მაჭარი“ (ქალთა ტრიო კანადიდან), „ტრის კეტურიოზე“ (ქალთა ანსამბლი ლიტვიდან), „ლე რომედ დე ფორტუნ“ (შერეული გუნდი საფრანგეთიდან), ასევე, „თორნლის ბავშვთა გუნდი“ შოტლანდიიდან, რომელსაც კონსულტაციებს უწევს ქალთა ანსამბლ „სათანაოს“ წევრი, ქნი ნანა მჟავანაძე.

საბედნიეროდ, საქართველოშიც მომრავლდა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები და სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა სწორედ მათი წარდგენა გადაწყვიტეს მსმენელთა წინაშე. ცნობილი ფოლკლორული გუნდების – „ანჩისხატის“, „ბასიანის“, „ლაშარის“ გვერდით სიმპოზიუმის გახსნაში მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა ანსამბლებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან: „ამერ-იმერი“, „ერქვანი“, „იარამაში“, „კირილესა“, „ლაშარელა“, „მართვე“, „მძღვეარი“, „ფერხისა“ (თბილისი), „ნაი-ნაი“ (ქუთაისი), „პატარა თუთარჩელა“ (რუსთავი), „კრიმანჭული“ (ჩოხატაური), „საუნჯე“ (ხარაგაული), „წნორის ბავშვთა გუნდი“.

მუსიკალურ პროგრამასთან ერთად, სიმპოზიუმის მონაწილე-სტუმრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა კულტურულმა პროგრამამ. საპატრიარქოსთან შეთანხმებით, დაგეგმილი იყო მათი გაყვანა ხევში, გერგეტის სამებაზე, რისთვისაც ყველაფერი მომზადდა, მაგრამ უამინდობის გამო გასვლა შედგა ანანურში, სადაც გაიმართა პატარა იმპროვიზირებული კონცერტი მოხვევთა ახალგაზრდული ანსამბლის „ჯვარულის“, ასევე „სპარტიმუს“ (საფრანგეთი,



სიმპოზიუმის გახსნის საკონცერტო ნაწილი

კორსიკა), „ლინდაბრუნენ დრაიგეზანგისა“ (ავსტრია) და „ტრის კეტურიოზეს“ (ლიტვა) მონაწილეობით. მოეწყო ექსკურსია ქართულ ხუროთმოძღვრული ძეგლების დასათვალიერებლად. მონაწილეები გაეცნენ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტებს.

ტრადიციული მრავალხმიანობის V საერთაშორისო სიმპოზიუმმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი დიდ ინტერესს იწვევს საერთაშორისო ეთნომუსიკოლოგიურ წრეებში, ამდენად, აქტუალურია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიისათვის. მან ბევრი მეგობარი შესძინა ქართულ მრავალხმიან სიმღერა-გალობას, რის შედეგად სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები სწავლობენ ამ უნიკალურ ფენომენს და ერთხმად აღიარებენ ქართული მრავალხმიანობის განსაკუთრებულ ადგილს მსოფლიოს ხალხთა მუსიკალურ კულტურაში.

მასთან, იგი გადაიქცა მსოფლიო მრავალხმიანობის შესწავლის ერთ-ერთ უმსხვილეს კერად – ესაა ერთადერთი სიმპოზიუმი, რომელზეც სხვადასხვა ხალხის მრავალხმიანობა თემატურად ასე მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი.

როგორც მსოფლიო მრავალხმიანობის უკვე საქვეყნოდ აღიარებული მკვლევარი, ავსტრალიაში მოღვაწე და ჩვენი ცენტრის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იოსებ შორდანიამ ამბობს, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევა თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სფერო გახდა და ამაში თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მარტო ბოლო 5 წლის განმავლობაში, გარდა თბილისის მესამე და მეოთხე სიმპოზიუმებისა, ორი სპეციალური კონფერენცია ჩატარდა ავსტრიაში, ერთი – პორტუგალიაში, ერთიც – სარდინიაში.

თბილისის სიმპოზიუმი ქართული ეთნომუსიკოლოგიის მსოფლიო მეცნიერებაში ინტეგრაციის საუკეთესო საშუალებაა.

რუსუდან წურწუშია

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(2009-2010)

2010 წლის მაისი – „ანჩისხატის ტაძრის გუნდი“ მიწვეული იყო გერმანიის ქალაქ ლაიფციგში “ACAPPELLA FESTIVAL”-ზე. ანსამბლმა ასევე ჩაატარა კონცერტები და მასტერკლასები ავსტრიისა და გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში.

28.06.2010 – ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ანსამბლმა „მთიებმა“ გამართა კონცერტი კორსიკულ ანსამბლთან „სპარტიმუსთან“ და ქართულ ანსამბლ „სიმთან“ ერთად.

30.06.2010-7.07.2010 – ანსამბლი "მთიები" მიწვეული იყო დიდი ბრიტანეთის ქალაქებში – ლონდონსა და კარდიფში კონცერტებისა და მასტერკლასების ჩასატარებლად. ანსამბლმა ქ. კარდიფში ჩაწერა CD "Songs from Georgia"; მონაწილეობა მიიღო ქ. უელსში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში „სახლვრებს მიღმა“ („Beuond The Border“).

28.06.2010 – ანსამბლმა „სახიობამ“ გამოსცა ანსამბლის მეორე CD.

2010 წლის ივნისი – ანსამბლი „რუსთავი“ მიწვეული იყო გერმანიის ქალაქებში ინგოლშტადტსა და რადეფორმვალდში, ასევე ჰოლანდიის ქალაქ ლეიდენში სოლო კონცერტების ჩასატარებლად.

2010 წლის ივნისი – ანსამბლი „ლაშარი“ მიწვეული იყო ქართული კულტურის დღეებზე საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში.

2010 წლის ივნისი – ანსამბლი „ლაშარი“ მიწვეული იყო თბილისის დღეებზე პოლონეთის ქალაქ კრაკოვში, სადაც სიმღერისა და ცეკვის პოლონურ ანსამბლ „კრაკოველებთან“ ერთობლივი კონცერტი ჩაატარა.

2010 წლის ივლისი – ანსამბლმა „იალონმა“ ჩაწერა CD, რომელშიც შევიდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლები. ამასთან დაკავშირებით ანსამბლმა გამართა პრეზენტაციის კონცერტი.

16-19.07.2010 – ანსამბლი „შაენაბადა“ მიწვეული იყო საფრანგეთის ქალაქებში და კუნძულ კორსიკაზე, სადაც გამართა სოლო კონცერტები და ჩაატარა მასტერკლასები.

2010 წლის ივლისი – პარიზში გაიმართა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადაუდებელი დაცვის სიაში შესატანი ნომი-

ნაციების ექსპერტთა შეკრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა პროფ. რუსუდან წურჭუმიამ.

2010 წლის 31.07-2.08 – ანსამბლი „თუთარჩელა“ მიწვეული იყო თურქეთის ქალაქ ართვინში ლაზური სიმღერის ფესტივალზე.

2010 წლის აგვისტო – ანსამბლი „ბასიანი“ მიწვეული იყო ნიუ-იორკში საერთაშორისო ფესტივალზე „MOSTLY MOZART FESTIVAL“, რომელიც გაიმართა ლინკოლნის ცენტრში. ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო კონცერტებში სახელწოდებით „ბახი და მრავალხმიანობები“, სადაც ი.ს. ბახის ნაწარმოებების პარალელურად ქართული მრავალხმიანი სიმღერები შეასრულა.

2010 წლის აგვისტო – ანსამბლმა „ბასიანმა“ ჩაწერა მეექვსე CD.

2010 წლის აგვისტო – „ანჩისხატის ტაძრის გუნდი“ მიწვეული იყო საფრანგეთის ქალაქ კოტ-სანტ-ანდრეში „ბერლიოზის ფესტივალზე“ – **Festival Berlioz à La Côte-Saint-André**, რომლის ერთი საღამო დაეთმო ქართულ ტრადიციულ სუფრასა და სიმღერას.

2010 წლის ნოემბერი – ანსამბლმა „შავნაბადაძე“ გამოსცა მეოთხე CD.

2010 წლის ნოემბერი – ანსამბლმა „სახიობამ“ გამოსცა გალობის მესამე CD.

15-19.11.2010 – ნაირობიში (კენია) გაიმართა O'NEKS'OS არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის V სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა პროფ. რუსუდან წურჭუმიამ.

8-25.11.2010 – ანსამბლი „შავნაბადაძე“ მიწვეული იყო ინგლისსა და შოტლანდიაში სოლო კონცერტებისა და მასტერკლასების ჩასატარებლად.

6.11.2010 – ანსამბლმა „რუსთავემა“ გამართა სოლო კონცერტი თბილისის საკონცერტო დარბაზში.

15.12.2010 – ანსამბლმა „ბასიანმა“ გამართა სოლო კონცერტი ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში.


27.12.2010 – ანსამბლმა „მთიებმა“ გამართა სოლო კონცერტი რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში.

2010 წლის დეკემბერი – ანსამბლი „სათანაო“ მიწვეული იყო ინგლისში სოლო კონცერტისა და მასტერკლასების ჩასატარებლად.


2010 წლის დეკემბერი – ანსამბლმა „სათანაომ“ ჩაწერა მეორე CD.

გამოცემები

1. ტრადიციული მრავალხმიანობის IV საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებების კრებული (იხ. www.polyphony.ge).




2. ექო საქართველოდან: 17 არგუმენტი ქართული მრავალხმიანობის შესახებ. რედაქტორები რ. წურჭუმიამა და ი. ჟორდანიას. ნიუ იორკი: ნოვა საიენს პაბლიშერს, 2010.



(შესაძლებელია ყიდვა ინტერნეტის მეშვეობით).


3. ნ. ციციშვილი – ეროვნული ერთიანობა და გენდერული განსხვავებები. მსოფლმხედველობა და პრაქტიკა ქართულ ტრადიციულ მუსიკაში (Nino Tsitsishvili - National Unity and Gender Differences. Ideologies and Practices in Georgian Traditional Music. LAP LAMBERT Academic Publishing.2010



4. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულეებამ გამოსცა CD სახელწოდებით „კავკასიელ ხალხთა მუსიკა“, რომელშიც შესულია ყარაჩაული, ნოღაური, ჩერქეზული, აბაზური, აფხაზური ჩანაწერები კონსერვატორიის ფონოარქივიდან.



5. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულეების მაგისტრანტმა და ტექსტ-ს თანამშრომელმა ნინო რაზმაძემ მონაზონ მართასთან (ჩიკვიშვილი) ერთად შეადგინა და გამოსცა საგალობლების კრებული „ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობა“ თანდართული ორი CD-ით გალობის შემსწავლელთათვის.



მოამზადა მაკა ხარძიანმა

ქართული ხალხური სიმღერა ავსტრალიაში

ქართული ფოლკლორით დაინტერესებული ადამიანების რიცხვი უცხოეთში დღითიდღე იზრდება. ამის დასტურია, რომ ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებზე ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი ანსამბლების რიცხვი წლიდან წლამდე მატულობს. ამას მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად ხელს უწყობს უცხოეთში მოღვაწე თუ სტუმრად ჩასული ქართველი მუსიკოსების საქმიანობა.

როგორც ჩვენი მკითხველისათვისაა ცნობილი, იოსებ ჟორდანიას და ნინო ციციშვილი ავსტრალიაში მოღვაწე ქართველი ეთნომუსიკოლოგები არიან, რომლებიც არამარტო მეცნიერულად იკვლევენ ქართულ მრავალხმიანობას, არამედ პრაქტიკულადაც ასწავლიან ავსტრალიელებს ქართულ ხალხურ სიმღერებს.

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სახელით გვინდა მადლობა გადაგუხადოთ ბ-ნ იოსებსა და ქ-ნ ნინოს V სიმპოზიუმზე საინტერესო მოხსენებების წარმოდგენისათვის. გარდა სამეცნიერო ნაწილისა, მათ ტრადიციულად მიიღეს მონაწილეობა სიმპოზიუმის საკონცერტო ნაწილშიც. ანსამბლმა „გორანმა“, რომელსაც ბ-ნი სოსო ხელმძღვანელობს, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ავსტრალიელები დიდი სიყვარულითა და სიამოვნებით ემსახურებიან ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს. ქართველი მსმენელისათვის კიდევ უფრო სასიამოვნო იყო წლევეანდელ სიმპოზიუმზე ახალი ავსტრალიური ანსამბლის „ბრიზინგ სფეისის“ ჩამოსვლა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა მრავალხმიან სიმღერებთან ერთად ქართულ ხალხურ სიმღერებსაც ასრულებს. ამაში დიდი წვლილი ნინო ციციშვილს მიუძღვის, რომელიც თავადაც მღერის ამ ანსამბლში.

თუ როგორ სწავლობენ ავსტრალიაში ქართულ ხალხურ სიმღერებს, მოგვითხრობენ ბ-ნი იოსებ ჟორდანიას და ქ-ნი ნინო ციციშვილი.

ი. ჟორდანია: „ქართული სიმღერისადმი ინტერესი ავსტრალიაში ჩვენს ჩასვლამდეც უკვე საკმაოდ იყო. 1995 წელს, ჩვენი ჩასვლის წელს, ანსამბლ „გორანის“ ერთ-ერთ წევრს, გრანტ მეტიუსს უთქვამს: მომიხმენია და ვიცი, რომ ქართული ხალხური სიმღერების საოცრად ლამაზია. რა კარგი იქნებოდა, საქართველოდან ავსტრალიაში საცხოვრებლად თუნდაც ერთი ვინმე

ქართველი გლეხი ჩამოსულიყო და ჩვენთვის რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა ესწავლებინაო. როგორც აღმოჩნდა, როცა გრანტი ამ სიტყვებს ამბობდა, ამ დროისთვის ნინოს და მე უკვე გავლილი გვქონდა ყველა საემიგრაციო ფორმალობა და ავსტრალიის ბილეთებიც შეძენილი გვქონდა. კიდევ უფრო ადრე, 90-იანი წლების დასაწყისში ანსამბლი „ჟურნალისტი“ (ამჟამად „ქართული ხმები“) იყო ავსტრალიაში და მათმა კონცერტებმა სრულებით მოხიბლა ავსტრალიელები. მოხიბლულთა შორის იყვნენ რადიოპროგრამების ცნობილი წამყვანი პოლ პეტრენი მეღბურნიდან, მომღერალი მთია სიმპსონი კანბერადან და ცნობილი ლოტბარი სტივენ ტაბერნე (სტივენი 2006 წელს იყო სიმპოზიუმზე ჩამოსული და სვანეთშიც იმოგზაურა, ხოლო მოიამ 2008 წელს მიიღო მონაწილეობა სიმპოზიუმში). გარდა ამისა, ცნობილ ინგლისელ ფოლკლორულ მომღერალს, ფრენკი არმსტრონგს ჰქონდა ჩატარებული რამდენიმე ვორქშოფი, სადაც ავსტრალიელებს ასწავლა ქართული ხალხური სიმღერები (თვით ფრენკმა ეს სიმღერები იცოდა ელენ ჩედევიკისგან, რომელმაც ქართული სიმღერები ჩემი და ედიშერ გარაყანიძის მიერ უელსში 1994 და 1995 წელს ჩატარებული ვორქშოფების დროს ისწავლა.

„მახსოვს, ერთხელ მთხოვეს და დავეწერე სტატია ქართული ემიგრაციის მუსიკის შესახებ და იქ აღვნიშნე, რომ თავისთავად ქართულმა ემიგრაციამ უმეტესწილად უცხოეთში წაიღო ქალაქური სიმღერები (ასე მოხდა, მაგალითად, პარიზის ქართულ ემიგრაციაში, რომელიც ძირითადად ქალაქელებისაგან შედგებოდა). რაც შეეხება ქართულ ხალხურ, გლეხურ მრავალხმიან სიმღერებს, მათ თავისი მაღალი მხატვრული ღირსებების გამო, „თვითონვე მოახერხეს“ საზღვრების გადალახვა და უცხოელ მომღერალთა რეპერტუარში დამკვიდრება.

ნ. ციციშვილი: მოკლედ, ავსტრალიაში ჩასულებს უკვე დაგვხვდა ინტერესი ქართული სიმღერისადმი. ჯერ მე და სოსოს გვთხოვეს, რომ რაიმე გვემღერა მომღერალთა ფესტივალზე. მართალია მხოლოდ ორნი ვიყავით, მაგრამ გიტარის დახმარებით შევძელით ორიოდ ქალაქური სიმღერის შესრულება. სხვათა შორის, სწორედ ამ ფესტივალზე გამოდიოდა ანსამბლი „გორანი“, რომელიც იმ დროს ძირითადად ბუღვარულ სიმღერებს მღეროდა (ორიოდე ფრანგულ და შვედურ სიმღერასთან ერთად).

ამის მერე ძალიან სწრაფად განვითარდა მოვლენები. „გორანის“ მაშინდელი ლიდერი, კრისტოფ მაუბახი იმდენად დაინტერესდა ქართული სიმღერებით, რომ სრულიად დაანება თავი „გორანს“ და ჩვენ ერთად შევქმენით ანსამბლი „ოქროს საწმისი“.

ი. ჟორდანია: სწორედ ამავე პერიოდში მე მთხოვეს, რომ „გორანში“ მივსულიყავი და



ანსამბლი „გორანი“

მესწავლეებინა ქართული სიმღერები, ამის მერე შევრჩი და შევრჩი ამ ანსამბლს. „ოქროს საწმისიც“ და „გორანიც“ მრავალჯერ იქნა მიწვეული ავსტრალიის ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალებზე. სამწუხაროდ, ორიოდვე წლის წინ კრისტოფი საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდა ახალ ზელანდიაში. ადრე ერთი-ორჯერ, როდესაც კრისტოფი სხვა ქვეყანაში იმყოფებოდა, იგი დევიდ რობინსონით შევცვალეთ და არაა გამორიცხადი, რომ „ოქროს საწმისში“ დევიდი უკვე მუდმივად დავამკვიდროთ. მაგალითად, წელს ივლისში მიწვეულები ვართ ჩრდილოეთ, ტროპიკულ ავსტრალიაში, და დევიდთან ერთად მივდივართ იქ. რაც შეეხება „გორანს“, ის უკვე 19 წელია არსებობს და ისევე ძველებური ენთუზიაზმით აგრძელებს მუშაობას.

6. ციციშვილი: რაც შეეხება ქალების ანსამბლს, რომლებმაც წელს სიმპოზიუმზე შეასრულეს ქართული სიმღერები. ესაა ანსამბლი „Breathing Space“, ანუ „სასუნთქი სივრცე“. მათ რეპერტუარში ქართულის გარდა მთელი რიგი სხვა სიმღერებიც არის, თუმცა ბოლო დროს ქართული სიმღერების წილი აშკარად გაიზარდა, და ახლა უკვე გაჩნდა აზრი, რომ „გორანის“ და „ბრიზინგ სფეისის“ ბაზაზე შეიქმნას „მელბურნის ქართული გუნდი“. ეს ქართული სიმღერის პოპულარობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა იქნება ავსტრალიაში. აქვე მინდა ვითხრათ ჩემს მიერ შექმნილი ქალთა ტრიოს – „ნანას“ შესახებ, რომელმაც თავისი არსებობის რამდენიმე წლის მანძილზე არაერთ ფესტივალზე შეასრულა ქართული სიმღერები. გარდა ამისა, ჩვენ შევქმენით შერეული ანსამბლი „რატომაც არა!“ (Why Not!) რომელიც ქართული სიმღერების გარდა ასრულებდა ჩვენს მიერ ქართული ჰარმონიებით არანჟირებულ პოპულარულ სიმღერებს.

ი. ჟორდანიას: ჩვენ ჯერჯერობით გვქონდა საუბარი მხოლოდ მელბურნის შესახებ, მაგრამ



ანსამბლი „ბრიზინგ სფეისი“

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ქართული სიმღერა მელბურნის გარდა ავსტრალიის სხვა ქალაქებშიც უღერს.

სიდნეიში ქართული სიმღერის დიდი გულშემატკივარი იყო ავსტრალიის ერთ-ერთი საუკეთესო ლოტბარი, სტივენ ტაბერნე, რომელიც უკვე ვახსენეთ (იგი ამჟამად მელბურნში ცხოვრობს). მან სიდნეიში 700-კაციანი გუნდით, „ოქროს საწმისთან“ ერთად იმღერა „გურული ფერხული“ ძალიან დიდი წარმატებით. სტივენმა სიდნეიში ჩამოაყალიბა ძალიან საინტერესო ანსამბლი „Spooky Men’s Chorale“ (რომ ვთარგმნოთ, „საშიში მამაკაცების გუნდი“ იქნება). ესაა მაღალპროფესიული და იუმორით აღსავსე გუნდი, რომელიც უკვე რამდენჯერმე იყო საგასტროლოდ ინგლისში ძალიან დიდი წარმატებით. სტივენი იმდენად მოხიბლულია ქართული სიმღერებით, რომ მთელი გუნდის მუსიკალური ენის საფუძველი არის სწორედ ქართული ხალხური სიმღერა და ქართული ჰარმონიები. „საშიში მამაკაცების გუნდი“ ისეთი პოპულარული გახდა, რომ სიდნეის გარდა უკვე მელბურნში და პერტშიც შეიქმნა ამ ანსამბლის „ფილიალები“. სტივენმა ქართული ჰარმონიების გამოყენებით ახალი, საკუთარი კომპოზიციებიც კი დაწერა. მახსოვს, ახალი ჩასულები ვიყავით ავსტრალიაში, როცა სტივენმა დაგვირეკა და გვესტუმრა (მაშინ ჯერ კიდევ სიდნეიში ცხოვრობდა). რამდენიმე საათი ისე გავატარეთ ქართული სიმღერების შესრულებაში (სტივენი კარგი პროფესიონალია და კარგად კითხულობს ნოტებს), რომ ვერც კი შევატყვევთ, თუ როგორ გავიდა დრო. სტივენი ქართული სიმღერების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოწვეულ აღტაცებას ვერ მაღავედა.

კანბერაში ქართული სიმღერების დიდი მოტრფიალე არის მომღერალი და ლოტბარი მთავარი სიმპსონი. მას კანბერაში ჰყავს ორი გუნდი, რომელთა რეპერტუარში საკმაოდ არის ქართული სიმღერები. მთავარ და მისი პარტნიორის, ჯონ შორტისის აზრი იყო, რომ დადგმოლიყო შოუ-მუზიკლი, „John, Paul, Ringo and... Georgia“ (ანუ „ჯონი, პოლი, რინგო და... საქართველო“),

ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ნანინა“

რომელშიც ერთმანეთს შეერწყმებოდა ქართული ჰარმონიები და სიმღერები და ცნობილი ინგლისური ანსამბლის „ბითლზის“ მელოდიები. შოუმ დიდი წარმატებით ჩაიარა კანზერაში, ტასმანიასა და მელბურნში.

6. ციციშვილი: ქართული მუსიკისა და საერთოდ საქართველოსადმი სიყვარულის მნიშვნელოვანი ცენტრია დასავლეთ ავსტრალიის უდიდესი ქალაქი პერტი. პერტში სოსო მიიწვიეს 2005 წელს ქართული სიმღერების სასწავლებლად. ვინც სიმღერები ისწავლა, იმდენად დაინტერესდნენ, რომ სოსოს წამოსვლის მერე აღარ დაიშალნენ და შექმნეს ანსამბლი „ლილე“, რომელსაც შესანიშნავი ადგილობრივი მუსიკოსი, საიმონ ნილდი ხელმძღვანელობდა. წარსულ დროში იმიტომ ვლავარაკობთ, რომ საიმონი ძალიან ახალგაზრდა ტრაგიკულად დაიღუპა კიბოთი. „ლილეს“ გამოეყო ანსამბლი „შალვა“, რომელიც აქტიურად მონაწილეობს კონცერტებსა და ფესტივალებში. სწორედ პერტში იყო, რომ ავსტრალიელმა მომღერლებმა ქართულ რაგბისტებს სიმღერით გამოუცხადეს მხარდაჭერა თამაშის დროს. ქართველი რაგბისტების მხარდამჭერი კლუბიც კი შეიქმნა პერტში, რომლის ფინანსური დახმარებით თბილისის დიღმის საავადმყოფოში ახალი საბავშვო განყოფილება გაიხსნა. ამ საავადმყოფოს თანადგომისათვის დამატებითი ღონისძიებები და აუქციონებიც ჩატარდა პერტსა და მელბურნში.

გარდა ავსტრალიისა, ქართული სიმღერის სიყვარული „გადაედოთ“ ახალ ზელანდიელებსაც. ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი სოსო ჩასვლამ ახალ ზელანდიაში, და ასევე სტივენ ტაბერნეს მოღვაწეობამ (რომელიც წარმოშობით ახალი ზელანდიელია). ორიოდვე წლის წინ სპეციალური კომპაქტ-დისკიც კი გამოვიდა, სახელწოდებით „მრავალჯამიერი“, რომელზეც ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში არსებული გუნდები და ანსამბლები მღერიან ქართულ ხალხურ სიმღერებს. ქართული სიმღერების პოპულარიზაციას ასევე ძალიან შეუწყო ხელი დიდებული გურული მომღერლის ვაჟა გოგოლაძის ჩამოსვლამ ავსტრალიაში. ეს ბატონი ვაჟას პირველი გასვლა იყო უცხოეთში და მისმა სიმღერამ და სწავლების სტილმა მრავალი თაყვანისმცემელი შეიძინა ავსტრალიაში.

ი. ჟორდანი: შეიძლება თამამად ითქვას, რომ ავსტრალიაში ქართულ სიმღერას მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს და მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება. როგორც ჩვენთვის ახლახან გახდა ცნობილი, საქართველო აპირებს ავსტრალიაში საელჩოს გახსნას. სიმბოლურია, რომ ქართული სიმღერა იყო ერთ-ერთი პირველი „სრულყოფილებიანი ელჩი“ ქართული კულტურისა ავსტრალიაში, ელჩი, რომელმაც მრავალი თაყვანისმცემელი გაუჩინა ჩვენს ქვეყანას შორეულ კონტინენტზე.



ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ნანინა“ 2003 წელს შეიქმნა. მისი ხელმძღვანელია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური ხელოვნების მიმართულების კოორდინატორი, ანსამბლ „მზეთამზის“ წევრი თეა კასაბური. ანსამბლი 9 წევრისაგან შედგება, რომელთაგან თითქმის ყველა პროფესიით ეთნომუსიკოლოგია: მაია გელაშვილი, ვიქტორია სამსონაძე, ანა ყელბერაშვილი, ლია გაბიდაური, ქეთევან ბანცაძე, ნინო თუშიშვილი, მაკა ხარძიანი, ნატალია ჩაკვეტაძე. ისინი კუკური ჭოხონელიძის, ედიშერ გარაყანიძის, იოსებ ჟორდანიას სტუდენტები იყვნენ და მათგან ისწავლეს ყველაზე მთავარი: ხალხური მუსიკისადმი სწორი მიდგომა და პროფესიული კეთილსინდისიერება. გოგონები ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში დამეგობრდნენ და დაიწყეს სიმღერა, თუმცა ანსამბლი მოგვიანებით ჩამოყალიბდა. ამის მოთხოვნილება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მამაკაცთა ანსამბლების ურიცხვი რაოდენობის ფონზე, რომელიც დღითი დღე იზრდება, ქალთა რეპერტუარი, გარკვეულწილად, ჩრდილში მოექცა და თითზე ჩამოსათვლელი ქალთა ანსამბლების იმედად დარჩა. ანსამბლი, რომლის კვალსაც „ნანინა“ დაადგა, არის „მზეთამზე“ – ფაქტობრივად პირველი ფოლკლორული ანსამბლი, რომელმაც ქართველ ქალთა ტრადიციული სიმღერები სცენაზე ააჟღერა და ფართო აუდიტორიას გააცნო.

„მზეთამზის“ კვალდაკვალ, „ნანინას“ წევრებმაც მიზნად დაისახეს, ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი უმშვენიერესი და უძველესი შტოს – ქალთა სიმღერების შესწავლა და პოპუ-

ლარიზაცია. ეს მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი კატეგორიაა ქართული სასიმღერო შემოქმედებისა, რადგან თავისი შინაარსით, მუსიკალური ენის თავისებურებებითა და შესრულების ფორმებით ქალთა სიმღერები ქართული მუსიკალური ფოლკლორის არქაულ ფენას მიეკუთვნება.

ყველა ფოლკლორისტის ოცნებაა, ფოლკლორული ნიმუშების, რაც შეიძლება ძველი და უცნობი ვარიანტების მოპოვება და მათი აჟღერება. „ნანინას“ წევრები, თვითონ აწეობენ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და იწევენ სიმღერებს უშუალოდ ეთნოფორებისაგან, გარდა ამისა, პოულობენ სიმღერების უძველეს ნიმუშებს სხვადასხვა საექსპედიციო მასალებში, სწავლობენ ამ სიმღერების ისტორიას, მუსიკალური ენის კანონზომიერებებს, დიალექტისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს და ცდილობენ ხალხური საშემსრულებლო მანერისა და ფორმის დაცვით (ანტიფონურობა, წამყვან ხმებში თითო სოლისტის გამორჩევა, საფერხულო და საცეკვაო სიმღერების ქმედებით შესრულება...) შეასრულონ ისინი.

ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს ქალთა რეპერტუარისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა ჟანრის სიმღერას: აკუნის თუ ბატონების ნანებს, ხელსაქმის დროს შესასრულებელ სიმღერებს, ტირილებს, ამინდის მართვის, შრომის, სახუმარო და ა.შ. მათ შორისაა, როგორც ცალფა, ისე მრავალხმიანი სიმღერები; ანსამბლის წევრები ფლობენ ხალხურ ინსტრუმენტებს – ჩონგურს, ფანდურს, ჭუნირს, ჩანგს, გარმონს, დაირას. აღსანიშნავია ისიც, რომ სიმღერების დიდი ნაწილი საფერხულოა, რომელთა შესრულებასაც „ნანინას“ წევრები წარმატებით ართმევენ თავს.

„ნანინას“ რეპერტუარი მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სიმღერას, როგორც ქართულენოვანს, ისე ლაზურს, აფხაზურს, მეგრულს, სვანურს, წოვა-თუშურს. ნობრივი ბარიერის გადასალახად ანსამბლის წევრებმა მიმართეს უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის კათედრას, სადაც სხვადასხვა ენის სპეციალისტები სიამოვნებით დათანხმდნენ დახმარებაზე.

ანსამბლი „ნანინა“ მსმენელის წინაშე პირველად 2004 წელს წარსდგა და მას შემდეგ რეგულარულად მონაწილეობს სხვადასხვა სახის კონცერტებში, საქველმოქმედო ღონისძიებებსა თუ საერთაშორისო ფესტივალებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

„ნანინას“ გამოცემული აქვს კომპაქტ-დისკი, რომელიც მოიცავს 18 სიმღერას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. ამჟამად ანსამბლი მუშაობს მეორე ალბომის გამოცემაზე, რომელ-

შიც ხალხურ სიმღერებთან ერთად ქალაქური სიმღერებიც შევა.

ანსამბლის უახლოეს სამომავლო გეგმებში შედის კიდევ ორი კომპაქტ-დისკის გამოცემა. პირველში საქართველოს ყველა კუთხის ნანა გაერთიანდება. ანსამბლის წევრების აზრით, ეს საინტერესო იქნება არამარტო ეთნომუსიკოლოგებისათვის, არამედ სასურველიც ყველა ქართული ოჯახისათვის, რომელიც შვილების ტრადიციულად, ქართულ ნანაზე გაზრდას მოისურვებს. მეორე დისკი კი გააერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ნანებს, რაც არანაკლებ საინტერესო იქნება როგორც ეთნომუსიკოლოგების, ისე მსმენელებისათვის. თუმცა, ამ პროექტების განხორციელების საშუალება დაფინანსების უქონლობის გამო ანსამბლს ჯერჯერობით არ აქვს. ეს სამომავლო საქმეა.

და ბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: სიმბოლურია, რომ ანსამბლ „ნანინას“ წევრთა უმრავლესობა მრავალშვილიანი დედაა, რომლებიც საოჯახო საქმიანობას წარმატებით უთავსებენ შემოქმედებით მოღვაწეობას.

**თეა კასაბური
მაკა ხარძიანი**

პირველი შეგროვნებები



ჯერემი ფაუცი

მერილენდის უნივერსიტეტის
მაგისტრატურის სტუდენტი

დაახლოებით 6 წლის წინ, როდესაც პირველად აღმოვაჩინე ქართული ვოკალური მუსიკა, დამეუფლა ინტუიტიური მიხედვითობის გრძნობა და აშკარა სმენითი მიზიდულობა. იმ დროს, როგორც კონგრესის ბიბლიოთეკის ამერიკის ფოლკლორის ცენტრის სტაჟიორი, ვსწავლობდი ეთნომუსიკოლოგიას და ვეძებდი კვლევისათვის საინტერესო მუსიკალურ კულტურებს. ინტერნეტის საშუალებით ვეძებდი ისეთ მუსიკას, რომელიც იყენებდა არატრადიციულ ვოკალურ ჰარმონიებს და ვიპოვე ტიპური ქართული სიმღერა „ჩაკრულო“. მაშინვე მოვიხიბლე. მას შემდეგ სულ ვცდილობდი, მეპოვა რაიმე ინფორმაცია ჩემთვის უცნობ ქვეყანაზე. 2005 წლის 17 ნოემბერს კონგრესის ბიბლიოთეკაში კონცერტი გამართა ანჩისხატის ტაძრის გუნდმა, სწორედ მაშინ მოვისმინე პირველად ეს მომწუსხველი მუსიკა ცოცხალი შესრულებით.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე ხელოვნების სხვადასხვა დარგში, ვერც ერთი ჩანაწერი ვერ აღძრავს იმ გრძნობას, რასაც ცოცხალი შესრულება. ხშირად ვუსმენდი ხოლმე ინტერნეტის საშუალებით შექმნილ ქართული სიმღერის რამდენიმე კომპაქტურ დისკს, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ერთმანეთში გადახლართული ხმების ვიბრაციამ (ჩუქმა თუ ხმამაღალმა) დამატყვევა როგორც ფიზიკურად, ისე მენტალურად. დამაინტერესა „ალიფაშას“, „ხასანბეგურასა“ და „ელესას“ კრიმანჭულმა, გამყივანმა და სამი ხმის ურთიერთქმედებამ. უცნობი მელოდიებისა და კილოების წყალობით ჩემი ჰარმონიული მგრძნობელობა გაფართოვდა, გამდიდრდა და ვერტიკალურ ჰარმონიულ ურთიერთობებს გას-

ცდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ესთეტიკა განსხვავდება სხვა მუსიკალური აზროვნებისაგან და მე, რა თქმა უნდა, არ შემეძლო (და არ შემიძლია) ვამტკიცო, რომ სრულად მესმის ქართველთა მუსიკალური აღქმა, მაგრამ არაგულწრფელი ვიქნები თუ უარყოფ იმ რეზონანსს, რომელსაც ჩემში იწვევს დარბაზის მარმარილოს შეჯახებული მომღერალთა ხმები.

ქართულ მუსიკასავით მომხიბვლელია საქართველოსა და იქ მცხოვრებ ხალხთა ისტორია, რომლებსაც ბევრ სხვადასხვა კულტურასთან ურთიერთობა მოუწიათ. სწორედ ამ კულტურების გადაკვეთის წერტილები არის ჩემი კვლევის საგანი და სადისერტაციო ნაშრომის თემა. „შხვადასხვა წყაროსა და პირადი საველე ექსპედიციის (2009) მონაცემები მიუთითებენ, რომ თანამედროვე ქართველები ქართული ტრადიციული მუსიკის საშუალებით წარსულს იბრუნებენ და ხელახლა წარმოსახავენ. ქართულ ეთნომუსიკოლოგიასა და თავად ქართული კულტურის შიგნით ქართული ტრადიციული ვოკალური მუსიკისა და ქართველთა იდენტობის ჩამოყალიბებაში მთავარ როლს თამაშობს ორი კონცეფცია: „ტრადიციულობა“ და „სიძველე“.

ქართულ კონტექსტში ტრადიციულობისა და სიძველის აღწერის შემდეგ მე შევისწავლე მათი როლი ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში. დღეს ბევრი ქართველი თავის მუსიკალურ შემსრულებლობასა და აღქმაში ტრადიციულობის არჩევისას იყენებს წარმოსახვით, გაიდეალიზებულ წარსულს. მეტიც, სიძველე ქართულ ტრადიციულ ვოკალურ მუსიკაში ეხმარება, დაიცვან საზღვარი „აბსტრაქტულ სხვასთან“- გეოგრაფიულ მეზობლებთან თუ ისტორიულ მტრებთან.

მიუხედავად ჯერჯერობით პატარა და იმედისმომცემი ნაბიჯებისა, ჩემი კვლევა წარმოადგენს ქართველი და სხვა ქვეყნების მეცნიერების მიმდინარე ნაყოფიერი კვლევების მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს. ეს კვლევები ემსახურება ზოგადად ქართული (როგორც საერო, ისე სასულიერო) მუსიკის კონტექსტის გამოვლენას, რაც ხშირად არასაკმარისია ხოლმე. კონტექსტის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ ქართული მუსიკის მნიშვნელობისა და ფუნქციის ანუ „კომპლექსური მთელის“ (ედვარდ ტაილორი) გაგებას. ერილენდის უნივერსიტეტში, კონგრესის ბიბლიოთეკასა და სხვაგან მიღებული გამოცდილებიდან ვიცი, რომ არსებობს დიდი ინტერესი ქართული მუსიკალური კულტურისა და მისი სხვადასხვა ფორმებისა და ჟანრების მიმართ.

იმედი მაქვს, რომ ჩემი და სხვა უცხოელი მეცნიერების გამოკვლევა ქართულ მუსიკაზე ფართო აუდიტორიას სწორად წარმოაჩენს ქართულ კულტურას და თანამედროვე ქართველებსაც გაუწევს დახმარებას მისი ელემენტების შესწავლის პროცესში.

ლიტვური მრავალხმიანი სიმღერები „სუტარტინესი“

ჩვენს ლიტველ კოლეგებს გულითადად ვულოცავთ 2010 წელს იუნესკოს მიერ ლიტვური მრავალხმიანი სიმღერის „სუტარტინესის“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრად აღიარებას



დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინინენე
ლიტვის მუსიკალური
აკადემიის ეთნომუსიკოლოგიის
კათედრის ვაჰვე

„სუტარტინესი“ ძლიერი, უნიკალური მუსიკალური სიტყვაა, რომელსაც ახასიათებს ვოკალური და ინსტრუმენტული პოლიფონია, სეკუნდური აკორდები, დამატებითი რიტმები და სინკოპები.

ტერმინ „სუტარტინესის“ აღწერა:

სიტყვის ფუძე ნიშნავს „შეთანხმებას“, „თანხმობაში ყოფნას“. ტერმინი შეირჩა სხვადასხვა ადგილობრივი პოლიფონიური ტერმინიდან – „სუტარტინეს“, „სუტარიტეს“, „კაპოტინეს“, „აპსკრიტოს“, „სეკტინეს“ და სხვ. „სუტარტინეს“-საგალობელი არის გამორჩეული რიტუალური სიმღერა.

მუსიკალური მეტყველების თავისებურებები:

ა) ვიწრო მელოდიური დიაპაზონი; ბ) მოკლე ამპლიტუდა, გ) ინტონაციური სტაბილურობა; დ) გადაუწყვეტელი ინტერვალების არარსებობა; ე) სიტყვისა და მელოდიის სილაბური კავშირი; ვ) დამატებითი რიტმი; ზ) პოლიფონია (დიაფონია) სეკუნდაზე, ჰეტეროფონია.

„სუტარტინესს“ ახასიათებს მრავალტონალური, მრავალსაფეხურებრივი და მრავალტექსტიანი ვოკალური ურთიერთობები, ასევე – პოლირიტმია და პოლიმეტრია.

პოეტური თავისებურებები:

არქაული ელემენტების სიმრავლე: ა) პატრიარქატის კვალი; ბ) უძველესი ყოფის, ნადირობის, მეფუტკრეობის ასახვა; გ) სტროფული სტრუქტურა; დ) ონომატოპეური შორისდებულების სიმრავლე: ჩიუტო, რუტო, ტატატი, დუნო, რიტიტატატი, და სხვ. ლიტვური „სუტარტინეს“-თვის დამახასიათებელი პოლიტექსტუალობას, რომელიც გულისხმობს ერთდროულად მქდერ კონტექსტუალურ და ონომატოპეურ სიტყვებს, პოლიფონიური ანალოგიები სხვაგან არსად მოპოვება.

„სუტარტინესი“ არის სინკრეტული ხელოვნება, რომელიც ასახავს კავშირს მუსიკას, სიტყვასა და მოძრაობას შორის. ქორეოგრაფია არ არის რთული, მოძრაობები თავშეკავებულია, ხშირად გეხვდება წრიული მოძრაობა, მკლავ-გადაჭდობილი ტრიალი, „ვარსკვლავის“ დაწყობა, ფეხის დარტყმა, წყვილებად სიარული, მეწყვილის გაცვლა, და ა.შ. ზოგიერთი „სუტარტინეს“ სრულდება მრავალდერიან სალამურზე *სკუდუნიაი*, *დაუდიტეს* ბუკზე, ხის გრძელ საყვირზე და ფლეიტაზე *ლამზდელიაი*. ხალხური ტერმინი „ბუკის კვრა“ გამოხატავს შესრულების მრავალფეროვნებას – ჩასაბერი ინსტრუმენტის დაკვრა, საგალობლის შესრულება და ცეკვა.

რეგიონალური განსხვავებები

ჩრდილოაღმოსავლეთ აუკშტაიტია (უპლანდსის ეთნიკური რეგიონი) არის „სუტარტინესის“ გავრცელების ყველაზე დიდი არეალი, სადაც, ისტორიული წყაროების თანახმად, ამ ტრადიციის ყველაზე მეტი მიმდევარი ცხოვრობდა. მუსიკალური განსხვავებები განსაკუთრებით გამოკვეთილია ჩრდილოეთში (ბირზაის გარშემო) და აღმოსავლეთში (შვენჩიონის გარშემო). ჩრდილოეთში, ერთაერთი ინტერვალი არის სეკუნდა. სასიმღერო თავისებურებები სპეციფიკურია ინსტრუმენტული მუსიკისათვის: გალობა (სილაბიზმი), „კაკანის ხმა“, და სხვ. სეკუნდა აღმოსავლეთში შემთხვევითი ინტერვალია; საგალობლების გაცილებით თანმიმდევრული მელოდიური ინტონაციები, შესრულების შედარებით ნელი ტემპი და მარტივი რიტმი ხსნის ვოკალური „სუტარტინესის“ აქაურ წარმოშობას.

შესრულება

შემსრულებელთა რაოდენობის თვალსაზრისით გავრცელებულია „სუტარტინესის“ შესრულების სამი მთავარი ფორმა: „ორი შემსრულებელი/დუეტი“ (კონტრაპუნქტი), „სამი შემსრულებელი/ტრიო“ (კანონი) და „ოთხი შემსრულებელი/კვარტეტი“ (ანტიფონური კონტრაპუნქტი). თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანია შესრულების პოლიფონიური სტილი. ზოგიერთ რეგიონში ცნობილია თითქმის 40 სხვადასხვა საშემსრულებლო ფორმა. მე-20 საუკუნის გაშიფრულ მასალაში დაფიქსირებულია 2-4 ქალის მიერ შესრულებული სამგალობლო-სასიმღერო ტრადიციები. საჭიროების შემთხვევაში მოცეკვავეთა რაოდენობა, შესაძლოა, გაიზარდოს. საგალობლების შემსრულებლები ძირითადად ქალები არიან; მამაკაცები ჯგუფურ ცეკვებში ჩნდებიან. ბოლო პერიოდში ხშირია სიმღერის ჯგუფური შესრულება (10-30 ადამიანი).

ტრადიციის განსაზღვრა და გავრცელება

ფირფიტებზე „სუტარტინესი“ პირველად მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩაწერეს, როდესაც კოლექტიური შესრულება გაქრობის გზაზე იდგა. დღეს სოფლად მხოლოდ რამდენიმე ცალკეულ შემსრულებელს ახსოვს იგი.

„სუტარტინესი“ შესაძლოა სათავეს უძველესი დროიდან იღებდეს. ბევრი თვისება, მათ შორის – სინკრეტულობა მის უძველეს წარმოშობაზე მიუთითებს. წარმოშობის თარიღის დადგენა შეუძლებელია. პირველი წერილობითი წყარო მე-16 საუკუნით თარიღდება. მაჩვი სტრიუკოვსკის (1952) ქრონიკა პირველად მოიხსენებს „სუტარტინეს“-ს. იგი საუბრობს ერთმანეთის მიყოლებით „ღია პირით“ სიმღერაზე, მუდმივად განმეორებად მისამღერზე „ლადო, ლადო“, ტაშის დაკვრასა და გრძელი ბუკის კვრაზე. ადოლფა საბალიაუსკასმა ფინელ პროფესორ აუკუსტი რობერტი ნიემისთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა „სუტარტინეს“-ის „აღმოჩენაში“. (მათ შეკრიბეს „ჩრდილოეთ ლიტვური სიმღერები და საგალობლები“, ჰელსინკი, 1916). 1935-1941 წლებში ხალხური მუსიკის მკვლევარმა ზენონას სლავიუნასმა ფონოგრაფზე ჩაწერა უკანასკნელი ავთენტური ჯგუფი. მან ასევე შეკრიბა და გამოაქვეყნა სამ-ტომიანი კრებული („სუტარტინეს“ ლიტვური ხალხური პოლიფონიური სიმღერები“. ტ. 1,2-V., 1958; ტ. 3-1959).

მე-20 საუკუნის შუა ხანებში სოფლად „სუტარტინეს“-ის ჯგუფურად შესრულების ტრადიცია თითქმის გაქრა. მკვლევრები ჩიოდნენ ახალგაზრდობის მხრიდან ინტერესის არ არსებობაზე. „სუტარტინესის“ ხელახალი დაბა



ანსამბლი „ტრის კეტურიოსე“

დება დაიწყო 1969 წელს პოვილას მატაიტისის ხალხური მუსიკის თეატრის დასის მიერ ვილნიუსში ჩატარებული კონცერტის შემდეგ. მას შემდეგ „სუტარტინესის“ შემსრულებელი ხალხური მუსიკის ანსამბლები ქალაქს დაუბრუნდნენ, და დღემდე აგრძელებენ ახალ, თუმცა ხარისხობრივად განსხვავებულ შესრულებას სხვადასხვა ფორმით.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან „სუტარტინესი“ ლიტვური იდენტობის გამოკვეთილი სიმბოლო გახდა და მასზე დაყრდნობით მე-20 საუკუნის მრავალი კომპოზიცია შეიქმნა.

ქართული კულტურისა და მეცნიერების კერები

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი 1975 წელს შეიქმნა, როგორც ქართული კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ფილიალი – იმ ხანად სსრკ-ში განთქმული კოლექციონერის არკადი რევაზიშვილის მექანიკური საკრავების კოლექციის ბაზაზე. 2006 წელს მიიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და ეწოდა „ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმი“.

დღეისათვის მუზეუმში ინახება 4500-მდე ექსპონატი. ეთნომუსიკოლოგიის სოციალური და კულტუროლოგიური ეტაპების ამსახველი მეტად საინტერესო მასალა, მდიდარი ფოტო, ფონო და კინო არქივის ასლები და დენდები, პროფესიონალ და თვითნასწავლ ხელოვანთა მხატვრული

ტილოები, ხმის I ჩამწერი და გამხმოვანებელი აპარატები (ფონოგრაფი, გრამოფონები, პატეფონები), ხელოვნების მოღვაწეთა ხელნაწერები, ცნობილ შემსრულებელთა სამოსი და სხვა, ამჟვენებენ როგორც საგამოფენო დარბაზებს, ასევე საფონდო საცავებს.

მუზეუმში ყოველწლიურად 6000-მდე დამთვალიერებელი მოდის: უცხოელი ტურისტები, ქართული მუსიკალური კულტურით დაინტერესებული პირები; ყველაზე ხშირი სტუმრები ბავშვები არიან: თბილისის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების საჯარო თუ კერძო სკოლების მოსწავლეები.

მუზეუმის სპეციალისტთა ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს საგანმანათლებლო პროგრამებს: გარდა ჩვეულებრივი ექსკურსიისა, აქ ეწყობა შიდა სასკოლო და სკოლებს შორის მხიარული შეჯიბრებები ქართული ხალხური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით. შედგენილია სპეციალური პროგრამები სხვადასხვა ასაკის ბავშვთათვის, რომლებიც უფრო მეტად სახალისოს და დასამახსოვრებელს ხდის მუზეუმს.

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმი პირველია მთელს კავკასიაში და მისი სპეციფიკა განსხვავებულია რესპუბლიკაში არსებული ხელოვნების სხვა მუზეუმებისაგან: გარდა ვიზუალურისა, ექსპოზიციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხმოვან მასალას.

საექსპოზიციო დარბაზები:

1. ქართულ დარბაზში წარმოდგენილია ტრადიციული და საქართველოში გავრცელებული საკრავების 4 ჯგუფი: სიმებიანი, ჩასაბერი, დასარტყამი და კლავიშიანი. ექსპოზიცია იწყება არქეოლოგიური მასალით – საყოველთაოდ ცნობილი ძვლის უენო საღამურის ასლით, თრიალეთის ვერცხლის თასისა და ყაზბეგის განძის ფოტოებით. მუზეუმის სამომავლო გეგმაა ამ უნიკალური მასალის ასლების სრულყოფილად წარმოდგენა, რაც კიდევ უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს გახდის ქართულ დარბაზს.



ქართული საკრავების დარბაზი

2. ცალკეა გამოყოფილი აღმოსავლურ საკრავთა კუთხე: ზურნა, დუდუკი, საზი, თარი, ქამანჩა, უდი, ზარბი, რუბაბი, დაირა, არდანუჩი, არღნები. აქ მრავალენოვანი თბილისის მუსიკალური წარსულის ამსახველი ექსპონატებია გამოფენილი. სამწუხაროდ, ჩვენს კოლექციაში არ მოიპოვება ბერძნული და ებრაული საკრავები, რომელთა მოძიება და შექმნა მუზეუმის გადაუდებელი ამოცანაა.



აღმოსავლური საკრავების კუთხე

3. მნახველთა, განსაკუთრებით მოსწავლეთა ხალგაზრდობის ინტერესითა და სიყვარულით სარგებლობს მუზეუმის ევროპული დარბაზი. აქ წარმოდგენილია თბილისელი კოლექციონერის არკადი რევაზიშვილის მიერ შეგროვილი მექანიკური საკრავების კოლექცია: ორკესტრიონები (მუსიკალური კარადები), მუსიკალური ზარდახშები, ფისგარმონები, გრამოფონები, არღნები. ეს კოლექციები დღეისათვის მართლაც იშვიათობას წარმოადგენს და XVIII საუკუნიდან მოყოლებული, ევროპიდან გავრცელებული ეს საკრავები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის მუსიკალური ესთეტიკის ცოცხალი მატიანეა. სამწუხაროდ, ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული მათი აღდგენა-რესტავრაციის საკითხი.

თანამშრომელთა მიერ გამოსაცემად მზადდება: საფონდო მასალის სრული კატალოგი, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს სპეციალისტებსა და ქართული მუსიკალური კულტურით დაინტერესებულ პირებს; მოკლე ხანში გამოიცემა ქართული და სხვა ხალხთა საკრავიერი მუსიკის ანთოლოგია ხმოვანი მასალის თანდართვით.

2009 წელს გამოიცა ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგის ოთარ ჩიჯავაძის მეტად საინტერესო ნაშრომი “საკრავები ძველ საქართველოში” (ხელნაწერი მუზეუმის ფონდში ინახება) და მოეწყო წიგნის პრეზენტაცია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუზეუმის ფონო არქივის შეგროვებასა და სისტემა-

ტიზაციას. მიმდინარე წელს აღწერილი და შესწავლილი იქნა ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგის კახი როსებაშვილის ფონო არქივი, რომელიც მოკლე ხანში მუზეუმის კუთვნილება გახდება.

მუზეუმში სისტემატურად ეწყობა თემატური საღამოები და შეხვედრები ხალხური მუსიკის მოღვაწეებთან.

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში ეროვნული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა, რომელიც უკვე ათწლეულებია, მკვიდრად ინახავს საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების მუსიკალურ წარსულს.

ქეთევან ბაიაშვილი

ქართული სიმღერის მოამაგეები

კარლო ურუშაძე



რუბრიკაში „ხალხური სიმღერის მოამაგეები“ ამჯერად გვინდა გვიამბოთ გურული მომღერლისა და ლოტბარის – კარლო ურუშაძის შესახებ. იგი იმ ერთეულთაგანია, ვინც მთელი ცხოვრება ქართულ ხალხურ სიმღერას მიუძღვნა. კარლო ურუშაძე 83 წლისაა და დღესაც აქტიურად მუშაობს ახალგაზრდებთან, ასწავლის და აყვარებს მათ ქართულ ფოლკლორს. შეიძლება ითქვას, რომ ბატონი კარლო წარსულის აწმყოსთან დამაკავშირებელი ერთგვარი ხიდია, რომელმაც ჩვენამდე ცოცხლად მოიტანა XX საუკუნის მანძილზე მოღვაწე ცნობილი გურული მომღერლებისა და ლოტბარების ცოდნა და გამოცდილება.

ცნობები კარლო ურუშაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოგვაწოდა მისმა ერთ-ერთმა შვილიშვილმა **ლელა ურუშაძემ**.

კარლო ურუშაძე ცნობილი მგალობელ-მომღერლის გიორგი იობიშვილის შვილიშვილია, რომელიც გიგო ერქომაიშვილის გუნდში მღეროდა და ჩონგურზე შესანიშნავი შემსრულებელი გახლდათ. მასვე ეკუთვნის ჩონგურის IV წყობის შექმნა. სწორედ გიორგი იობიშვილია ავტორი ხალხური სიმღერის შემსრულებლებისათვის კარგად ცნობილი სიმღერისა „ნატვრა“, რომელიც ჩონგურის IV წყობაში სრულდება. შესანიშნავი მომღერალი იყო კარლოს დედაც – ოლია იობიშვილი, რომელიც ოზურგეთის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ ანსამბლში მღეროდა ვარლამ სიმონიშვილის ხელმძღვანელობით; პარალელურად ასწავლიდა სიმღერას სოფელ ღიხაურის საშუალო სკოლაში. კარლოს მამა – სერგო ურუშაძე მომღერალ-მგალობელი იყო. ისი მასწავლებელი სიმღერა-გალობის დიდი ოსტატი, სოფელ ღიხაურის ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი, იღუმენი ნესტორ კონტრიძე გახლდათ. ამგვარად, კარლო ურუშაძეს მემკვიდრეობით ერგო ქართული სიმღერისა და გალობის სიყვარული, პატარობიდანვე ეზიარა ხალხური შემოქმედების მადლს, რომელსაც ახლა თვითონ აზიარებს მომავალ თაობებს.

კარლო ურუშაძე წლების მანძილზე მღეროდა ოზურგეთის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ ანსამბლში. გარდა ამისა, დედასთან, მამასთან და ძმასთან ერთად ხშირად მონაწილეობდა რაიონში გამართულ სხვადასხვა მუსიკალურ ღონისძიებებში, ასე რომ საოჯახო შესრულების ტრადიცია, რომელიც დღემდე გრძელდება, სათავეს მისი ბავშვობიდან იღებს.



კარლო ურუშაძე შვილიშვილებთან ერთად



კარლო ურუშაძე მეუღლესთან ერთად

ბატონი კარლო არამარტო ცნობილი მომღერალი და ლოტბარი იყო, არამედ მეცნიერულ მოღვაწეობასაც ეწეოდა ჩაის მრეწველობის საკავშირო კვლევით ინსტიტუტში და ეკუთვნის ოთხი გამოგონება ჩაის დამუშავების ტექნოლოგიაში.

ოცდახუთი წლის ასაკიდან დაიწყო კარლო ურუშაძემ პედაგოგიური მოღვაწეობა. ის სხვადასხვა დროს ასწავლიდა სიმღერას ოზურგეთის რაიონის სოფლების – ლიხაურის, ანასეულის, ბახვის საშუალო სკოლებში, ხელმძღვანელობდა სოფელ გურიანთის გუნდს.

1980 წლიდან ბატონმა კარლომ შექმნა ოჯახური ანსამბლი, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრადიციულად ახასიათებდა მის ოჯახს. დღევანდელი „ურუშაძეების ანსამბლი“ კარლოსა და მისი შვილიშვილებისაგან შედგება. ისინი ძირითადად გურულ სიმღერებს ასრულებენ. ბატონი კარლო უპირატესობას ანიჭებს ვარლამ სიმონიშვილისა და სამუელ ჩავლეიშვილის ვარიანტებს. ურუშაძეების ოჯახი ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა ფესტივალებსა და მუსიკალურ ღონისძიებებში. 2004 წელს სიმღერის საერთაშორისო ცენტრის თაოსნობით გამოიცა კომპაქტდისკი „ურუშაძეები“, რომელშიც შესულია 14 გურული სიმღერა მათი შესრულებით.

ბუნებრივია, რომ კარლო ურუშაძემ, რომელმაც მომღერალთა არაერთი თაობა გაზარდა, თავის შვილიშვილებს მცირე ასაკიდანვე შეასწავლა და შეაყვარა გურული სიმღერები. ალბათ ამან განაპირობა, რომ სამივე შვილიშვილმა პროფესიად მუსიკა აირჩია: ლელა პროფესიით მგალობელ-რეგენტი, გალობს სოფელ დიდმის კავთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, მღერის ანსამბლ „სათანაოში“ და ხელმძღვანელობს ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლს „კირიალესა“. ბელა სწავლობს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ვიოლინოს განხრით. სერგო კი თბილისის სასულიერო აკა-

დემიასთან არსებული ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, გალობს სამების საკათედრო ტაძარში, მღერის ანსამბლ „ბასიანში“.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი კარლო ოზურგეთში ცხოვრობს, მისი შვილიშვილები კი თბილისში, ისინი მაინც ახერხებენ ახალ რეპერტუარზე მუშაობას და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას. გარდა ამისა, ბატონ კარლოს ხშირად უხდება მასტერკლასების ჩატარება, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მომღერლებთან, ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში კი ხელმძღვანელობს ფოლკლორულ ანსამბლს.

მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სახელით ბატონ კარლოს ჯანმრთელობასა და დღევანდელობას ვუსურვებთ.

მაკა ხარბიანი

ქართველი ეთნომუსიკოლოგები

**ვალერიან მაღრაძე
(1923-1988)**



ქართულ მუსიკალურ დიალექტებს შორის მესხური მუსიკალური ფოლკლორი დღემდე ყველაზე ნაკლებაა გამოკვლეული. თუკი ვინმეზე შეიძლება ითქვას: მესხური მუსიკალური ფოლკლორის შესწავლაში განსაკუთრებული დვაწლი მიუძღვისო, ამ პიროვნებების ჩამონათვალი ვალერიან მაღრაძიდან უნდა დავიწყოთ. იგი თავადვე გახლ-

დათ მესხი (დაიბადა ქალაქ ბორჯომში) და მთელი თავისი მოღვაწეობა მშობლიური კუთხის მუსიკალური ფოლკლორის შესწავლას მიუძღვნა. თუმცა, თუ ქრონოლოგიას მივყვებით, ვ. მაღრაძე არ იყო პირველი, ვინც მესხური მუსიკალური ფოლკლორით დაინტერესდა.

ამ რეგიონის ეთნომუსიკოლოგიური შესწავლა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. 1930 წელს ჩატარებულ პირველ მუსიკალურ ექსპედიციას შალვა მშველიძე ხელმძღვანელობდა. ექსპედიციის მონაწილეთა ცნობებით, მესხებს მშობლიური მუსიკის ტრადიციების დავიწყების გამო, ნაკლებად ახსოვდათ ქართული სიმღერები და უძნელდებოდათ მათი შესრულება. 1949 წელს ექსპედიცია მოეწყო გრიგოლ ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით. მოპოვებული საექსპედიციო მასალიდან ძველი მესხური მსოლოდ ექვსი სიმღერა აღმოჩნდა, აქედან ორი სუფრული და ერთიც – საქორწილო. ცხადია, ეს უნიკალური ექვსი ნიმუში ძვირფასი შენაძენი გახლდათ, მაგრამ მასალის სიმცირის გამო მეცნიერული შესწავლისა და მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ვერ იძლეოდა.

1960-იანი წლებიდან მესხური მუსიკალური დიალექტის შესწავლას ვალერიან მაღრაძე იწყებს. მართალია, იგი კომპოზიტორი გახლდათ, მაგრამ მოღვაწეობის თითქმის 30 წელი მესხური მუსიკალური ფოლკლორის კვლევას მიუძღვნა. 1958 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტი საკომპოზიციო განხრით (ანდრია ბალანჩივაძის კლასი). შექმნილი აქვს კამერულ-ინსტრუმენტული და საგუნდო ჟანრის არა ერთი ნაწარმოები. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხელმძღვანელობდა გუნდს. 1969 წლიდან იყო სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის წევრი. 1980-81 წწ.-ში ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის მესაზღვრეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, 1980-1990-იან წლებში კი მის მიერვე ჩამოყალიბებულ ანსამბლს „მესხეთი“. აქვს დაცული დისერტაცია თემაზე „ქართული ხალხური სიმღერის ისტორიის საკითხისათვის, მესხური დიალექტი“ (1972). 1961 წლიდან მოყოლებული 1983 წლის ჩათვლით ვალერიან მაღრაძის ხელმძღვანელობით მესხეთ-ჯავახეთში 11 ექსპედიცია მოეწყო, რომელშიც ადგილობრივი მუსიკოსები და ეთნოგრაფებიც იღებდნენ მონაწილეობას. პირველი ექსპედიცია მესხეთში 1961 წელს საკუთარი ინიციატივითა და სახსრებით მოაწყო. ამას მოჰყვა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის დახმარებით 1962 და 1963 წლებში ოფიციალურად ორგანიზებული ექსპედიციები“ (ვ. მაღრაძე, ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები (1987).

1965 წელს ო. ჩიჯავაძის მიწვევით მონაწილეობა მიიღო კახეთის ექსპედიციაში. მონა-

ხულა მესხებით დასახლებულ სოფლები – სანავარდო და მთისძირი (ყვარლის რაიონი). 1967 წელს იმყოფებოდა სოფელ გამარჯვებაში (გარდაბნის რაიონი).

მის მიერ გამოკვლეული მესხური სოფლების საერთო რაოდენობა 54-ს აღემატება. „ამ ექსპედიციების შედეგად გამოიძებნა თითო-ორი სიმღერის მეტ-ნაკლებად მცოდნე 50-მდე მოხუცი, დანარჩენებს ძალზე უჭირდათ წინაპართაგან გაგონილი ძველებური სიმღერების გახსენება – უმეტესად ფრაგმენტებს გვაწვდიდნენ“ (ვ. მაღრაძე, ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები (1987).

მესხეთში ვ. მაღრაძის ოცდამეორეწლიანი მოღვაწეობის შედეგად გამოვლენილ იქნა თითქმის ყველა ჟანრის სიმღერა, რომელიც გვხვდება ქართულ ხალხურ შემოქმედებაში. მათგან ყველაზე მკაფიოდ დიფერენცირებული სუფრული, საქორწილო, საფერხულო და შრომის სიმღერები აღმოჩნდა. ვ. მაღრაძის აზრით, ეს სიმღერები სხვა ჟანრის სიმღერებისაგან გამოირჩეოდა შესრულების უკეთესი ხარისხით, მეტი სრულყოფილებით, რაოდენობით და უფრო მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ნიშნებით. გაშიფრული საექსპედიციო მასალის ნაწილი 1987 წელს ვ. მაღრაძის მიერვე შედგენილ კრებულ „მესხურ ხალხურ სიმღერებში“ გამოქვეყნდა.

კრებული ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მონოგრაფიული გამოკვლევაა, სადაც განხილულია ამ კუთხის სიმღერების ისტორიული, ჟანრულ-სტილისტური და სტრუქტურული ბუნება, მესხური მუსიკალური ფოლკლორისა და ზოგადქართული სასიმღერო ნიმუშების პარალელურ საკითხები. მეორე ნაწილში წარმოდგენილია 50-მდე ნოტირებული სიმღერა, სრული სიტყვიერი ტექსტებითა და კომენტარებითურთ. მათ შორისაა სუფრულის 19 ნიმუში. თუმცა, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მის მიერ ჩაწერილ იქნა გაცილებით მეტი რაოდენობის სუფრულების ტექსტები, რომელთა დაკარგულ მელოდიებს ვეღარსად მიაკვლია.

ვალერიან მაღრაძის პირადი არქივი წლების განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა. კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში თავად დავინტერესდი ამ არქივით. კონსერვატორიის პედაგოგის ქალბატონი ნათელა ციმაკურიძის დახმარებით მოხერხდა მასალის მოძიება. ვალერიან მაღრაძის გარდაცვალების შემდეგ არქივზე ზრუნვა მისი ანსამბლის ყოფილმა წევრმა, ბატონმა კობა (ნიკოლოზ) ზაზაშვილმა აიღო საკუთარ თავზე, რისთვისაც მას მადლობა გვინდა გადავუხადოთ. მან, საკუთარი ინიციატივით, ჩანაწერების ციფრული ვერსია შექმნა. მის მიერ გადაწერილი ხსენებული ჩანაწერების ასლი ამჟამად კონსერვატორიის ხალხური შემოქმედების მიმართულების არქივში ინახება.



ვალერიან მადრაძე ანსამბლ „მესხეთიან“ ერთად

ჩვენივე თხოვნით, ბატონმა კობამ არქივი საქართველოს საპატრიარქოს არქივს გადასცა. არქივში შედის როგორც წერილობითი, ისე ფონომასალა, რამდენიმე ასეული ჩანაწერი (მასალა ჩაწერილია ბაბინებზე). ფონომასალა არა-შესაფერის პირობებში ინახება და სასწრაფოდ საჭიროებს ციფრულ მატარებელზე გადატანას. რაც შეეხება წერილობით მასალას, აქ წარმოდგენილია როგორც საექსპედიციო დღიურები, ვალერიან მადრაძის გამოკვლევები, ასევე სანოტო მასალა, მათ შორის რესტავრირებული სიმღერები, რომელსაც მის მიერვე დაარსებული ანსამბლის წევრები ასრულებდნენ. მასალათა უდიდესი ნაწილი გამოუქვეყნებელია.

გ. მადრაძის მიერ მესხეთში მოპოვებული ცნობები მრავალხმიანობის შესახებ კრებულის წინასიტყვაობაშიცაა გამოქვეყნებული და ეს ცნობები ვრცლად არქივში დაცულ საექსპედიციო დღიურებშია წარმოდგენილი. ექვსი სოფლის 18 მოხუცი ადასტურებს 1890-1920-იანი წლების ჩათვლით მესხეთში ორ და სამხმიანობის არსებობას. მრავალხმიანობის კვალი კრებულში გამოქვეყნებულ სანოტო მასალაშიც ჩანს.

დღევანდელი გადასახედიდან მესხეთის მიმდებარე ისტორიული წარსულის გამო, რთულია განსაზღვრა იმისა, თუ როგორი გახლდათ წარსულში მესხური მუსიკალური დიალექტი. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ვალერიან მადრაძის არქივის შესწავლა ბევრ საკითხს მოჰყვანს ნათელს. სამწუხაროა, რომ მისი ოცდამდე წლის ნაღვაწი ჯერ ისევ არაა სათანადოდ დაფასებული. მით უმეტეს, თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ მესხური ფონოჩანაწერები მეტად მცირე რაოდენობით მოგვეპოვება.

ვალერიან მადრაძის შემდეგ მესხეთის რეგიონში ექსპედიცია იოსებ ჟორდანიამაც მოაწყო. თუმცა, ეს ჩანაწერები, ამავე წლების სხვა ჩანაწერებთან ერთად დაიკარგა.

2005 წელს საშუალება მომეცა ტმკსც-ის მიერ მესხეთის რეგიონში მოწიბილი ექსპედი-

ციის წევრი ვეოფილიყავი. მოხუც შემსრულებლებს და რაიონში მოღვაწე სპეციალისტებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ ვალერიან მადრაძე. ძნელია უთხრა ამ ადამიანებს, რომ ოცდამდეწლიანი შრომა დღემდე დამტკვრილ ტომრებში დაუდევრად ინახება და გადარჩენას საჭიროებს.

2010 წელს ამერიკულმა გამომცემლობამ „Nova Science Publishers, Inc“ გამოცა წიგნი „Echoes from Georgia; Seventeen arguments on Georgian Polyphony“. ამ გამოცემის საშუალებით სხვადასხვა თაობის 16 ქართველი ეთნომუსიკოლოგის ნააზრევს (მე-17 ზიგფრიდ ნადელია) ახლა უკვე მსოფლიოს ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქე შეიძლება გაეცნოს. ამ შესანიშნავ ქართულ ეთნომუსიკოლოგიურ ჩვიდმეტეულში ვალერიან მადრაძის ნარკვევიც შევიდა.

მესხური მრავალხმიანობა გაქრა, მაგრამ დარჩა ვალერიან მადრაძის ორი ათწლეულის ნამოღვაწარი. ერთი შეხედვით დამტკვრილი ბაბინებით სავსე ტომრები ერთი თავდადებული ადამიანის 20 წლის ცხოვრებაა. ჩვენ კი, ჩვენი მოუცლელობითა თუ ფინანსების არ ქონით მნიშვნელობას ვუკარგავთ ვალერიან მადრაძისა და მისნაირი ადამიანების თავდადებას.

ბაია ჟუჟუნაძე

სამეცნიერო პუბლიკაციები:

დაკარგული მელოდიების კვლადაკვალ (1966). ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. № 4 (ქართულ ენაზე, რეზ. რუს. ენაზე)

მესხური ტრადიციები (1969). ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. № 5 (ქართულ ენაზე, რეზ. რუს. ენაზე)

ცნობები მესხურ ხალხურ სიმღერებზე (1969). მნათობი, № 11 (ქართულ ენაზე)

მესხური სუფრული სიმღერების პოეტური ტექსტები (1975). ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. № 4 (ქართულ ენაზე, რეზ. რუს. ენაზე)

მესხური სიმღერების მრავალხმიანობის პრობლემისათვის (1976). შრომების კრებულში: შავერზაშვილი, ალექსანდრე და სხვ (რედკოლ.). IV გამოშ.: 79-108 (ქართულ ენაზე)

მესხეთში შემორჩენილი საკრავები (1981). შრომების კრებულში: შავერზაშვილი, ალექსანდრე და სხვა (რედკოლ.). IX გამოშ.: გვ. 121-124 (ქართულ ენაზე)

Характерные интонации мсхских народных песен. (1983). В сборнике: Шаверзашвили, Александр (от./ред.). Лад, мелодика и ритм грузинской народной музыки. Москва: Государственное музыкальное издательство (стр. 171-193). Тбилиси: Тбилисская гос. консерватория им. В. Сараджишвили (რუსულ ენაზე)

К вопросу многоголосного хорового пения в Месхети. (1985). В сборнике: Жордания, Йосиф (сост. и ред.). Вопросы народного многоголосия (стр. 54-55). Тбилиси: Сабчота Сакартвело (ქართულ ენაზე, რეზ. ინგლ. ენაზე).

კრებული:

ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები (1987). თბილისი: „ხელოვნება“ (ქართულ ენაზე).

საველე-შემკრებლობითი საქმიანობა (ექსპედიციები):

მესხეთ-ჯავახეთი – 1961; 1962; 1963; 1966; 1967; 1968; 1970; 1973; 1982; 1983.

კახეთი – 1963; 1965.

აჭარა (ქობულეთი) – 1969.



მანანა შილაკაძე

მანანა შილაკაძის გახსენება

სულ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ეთნოლოგი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დეაქლომოსილი თანამშრომელი, ისტორიის მაგნიტერებათა დოქტორი, პროფესორი მანანა შილაკაძე. ჩვენი ცენტრის ერთგული მეგობარი და კეთილი მრჩეველი, პიროვნული კეთილშობილებითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით გამორჩეული ქალბატონი მანანა დიდ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა გარშემომყოფთაგან.

ქალბატონი მანანას გახსენება მის ერთ-ერთ სტუდენტს, კონსერვატორიის მაგისტრანტსა და ჩვენი ცენტრის თანამშრომელს – ნინო რაზმაძეს ვთხოვეთ.

ქალბატონ მანანაზე წერა ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა, ისევე, როგორც მისი სტუდენტობა იყო.

ჩვენი ურთიერთობა ბაკალავრიატის მეორე კურსზე დაიწყო, როდესაც მასთან ეთნოგრაფიის კურსს გავდიოდი. იმთავითვე მოხიბლა მისმა განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ თავისი პროფესიისადმი და კეთილგანწყობამ თითოეული ჩვენგანის მიმართ.

ქალბატონი მანანას სპეციალობის კლასში ისე მიზანმიმართულად და წინასწარ დაგეგმილად არ მოვხვედრილვარ, როგორც ეს ჩვეუ

ლებრივ ხდება ხოლმე. ეს იყო რამდენიმე გარემოების დამთხვევა, რაც საბოლოოდ მხოლოდ ჩემდა სასიკეთოდ წარიმართა – ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპზე მომეცა იმ პიროვნებასთან ურთიერთობის საშუალება, რომლის გვერდით გატარებული თითოეული წუთი შეუცვლელი იქნება მთელ ჩემს ცხოვრებაში.

საკვლევ თემატიკაზე დიდხანს არ მიფიქრია. ინსტრუმენტული მუსიკის მკვლევრისაგან ბუნებრივად გადმომედო ამ სფეროსადმი ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივია ერთსა და იმავე საკვლევ თემაზე სხვადასხვა თაობის ადამიანების, თუნდაც მოსწავლე-მასწავლებლის მუშაობა, ქალბატონმა მანანამ ისეთი გარემო შემქმნა, სადაც თავისუფლად შემიძლო ჩემი, თუნდაც განსხვავებული აზრის გამოთქმა.

დასაწყისში, თითქოს ვიზღუდებოდი კიდევ, თუკი რომელიმე საკითხთან დაკავშირებით მისგან განსხვავებული მოსაზრება გამიჩნდებოდა. მაგრამ საქმე დიდ, ღირსეულ და ძალზედ სამართლიან მეცნიერთან მქონდა და ამას მაღევე მივხვდი. თუკი შევძლებდი ჩემი აზრი დამაჯერებლად ჩამომეყალიბებინა, თავადაც მეთანხმებოდა, ხოლო თუკი ჩემი არგუმენტები არასაკმარისად მოეჩვენებოდა, საკუთარ აზრს არასოდეს მომახვევდა თავს, ფრთხილად, დელიკატურად მეტყვოდა და დამისაბუთებდა, რის შედეგადაც თავად ვხვდებოდი საკუთარი მოსაზრების უსაფუძვლობას. ასე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად მასწავლიდა თავისუფალ აზროვნებას და მმატებდა ღირსების გრძნობას. დისკუსიის დროს ყოველთვის მეპყრობოდა, როგორც თანასწორს, არ უსვამდა ხაზს ჩემს, როგორც სტუდენტის სტატუსს, თუმცა, ამავე დროს, არასდროს არღვევდა შინაგან დისტან-

ციას, რაც აუცილებელია ორ ადამიანს, ამ შემთხვევაში სტუდენტსა და პედაგოგს შორის.

ქალბატონი მანანასგან ბევრი რამ ვისწავლე. მაგალითად, ის, რომ ერთია, გკონდეს საკვლევი თემატიკა, იკვლევდე, სვამდე კითხვებს, იღებდე შედეგებს, მაგრამ მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ გააფორმებ ამ ყველაფერს. გარდა კონკრეტული ცოდნისა, ჩემთვის განსაკუთრებით ფასეული, რაც მან ჩემში ჩანერგა, აკადემიზმისაკენ მუდმივი სწრაფვაა, ის, რაც ერთი შეხედვით, თითქოს ყველასთვის გასაგები და ახლოა, მაგრამ მაინც ცალკე კულტურაა. თავად საგამომცემლო საქმიანობის უდიდესი გამოცდილების მქონე, არასოდეს მპატიობდა პატარა შეცდომასაც კი. შედეგად, გამოიმუშავდა ჩვევა, რომ ყველაფერს, რაც ხელში მომხვდება, გამოცემას თუ გამოუქვეყნებელ სამეცნიერო ნაშრომს, ინსტინქტურად კორექტორის თვალით ვუყურებ. ეს ჩვევა უშუალოდ ქალბატონმა მანანამ მიანდერძა. დღემდე განსაკუთრებული სიყვარულით და რუდუნებით ვინახავ რამდენიმე ათას ფურცელს, სადაც მიწერილია მისი შენიშვნები. კორექტურასაც ხომ თავისი წესი აქვს?! მისი შენიშვნებით სავსე თითოეული გვერდი სწორედ ამ წესების ცოდნისა და ზოგადად, კორექტურის კულტურის სამუხეუმო ექსპონატია.

ერთი რამ ყოველთვის მაცოცხლებდა. ხანგრძლივი კვლევითი მუშაობის დროს გონებას რა საკითხამდეც არ უნდა მივეყვანე, რა მიმართულებითაც არ უნდა მომხვეწებოდა მუშაობა ნაყოფიერად და რა იდეაც არ უნდა მომსვლოდა თავში, ყველაფრის სათავეს მის ნაშრომებში ვპოულობდი. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ საუბარია ერთ კონკრეტულ საკრავზე, რომელზეც მე ვმუშაობდი და არა მთლიანად – ინსტრუმენტულ მუსიკაზე, რომელიც მანანა შილაკაძის საკვლევი თემას წარმოადგენდა.

ჩვენი ურთიერთობის საწყის ეტაპზევე მივხვდი, რომ საქმე განსაკუთრებულ ადამიანთან მქონდა. ქალბატონი მანანას გარდაცვალების შემდეგ მეგობრები ვმსჯელობდით, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ იყო ღირსეული მეცნიერი და ღირსეული ადამიანი. ვფიქრობ, რომ შეუძლებელია დვთის წყალობის გარეშე ასე მიახლოებული იყო იდეალურთან, ესაა ჯილდო ადამიანის კეთილსინდისიერების, თავდადებული შრომისა და უნარისათვის, უყვარდეს ყველა და იყოს კორექტული ყველასთან. ჩვენთვის ასეთი ადამიანების ცხოვრება მაგალითი და საკუთარ სისუსტეებთან ბრძოლის სტიმულია.

აფხაზური და ოსური სიმღერების შესწავლისათვის

ფოლკლორული მემკვიდრეობა კულტურის შესწავლისათვის აუცილებელი ისტორიული წყაროა. შორეული წარსულიდან მომდინარე ხალხური მუსიკალური შემოქმედება თაობებს შორის გადებული ერთგვარი ხილია და მისი დაცვა ნებისმიერი ეთნოსის მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ფოლკლორის არსებობა, მისი ტრანსფორმაცია და ევოლუცია განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თანამედროვე ეპოქაში. ურბანიზაციის, გლობალიზაციის და სხვა პროცესების ფონზე გადაუდებელ ამოცანად გვევლინება ჯერ კიდევ შემორჩენილი ხალხური სასიმღერო ნიმუშების დაფიქსირება, გამოცემა, შესრულება, პოპულარიზაცია და მეცნიერული კვლევა.

კავკასია, განსაკუთრებით კი საქართველო, თავისი ეთნიკური შემადგენლობით, წარმოადგენს ძალზე რთულ რეგიონს. მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ (დამაკავშირებელი რგოლი ევროპასა და აზიას შორის), გადამწყვეტი როლი შეასრულა აქ მოსახლე ხალხების ფორმირებასა და კულტურულ განვითარებაში. მშვიდობიანი თანაარსებობა საუკეთესო პირობებს უქმნიდა თვითმყოფადი მუსიკალური ენის შენარჩუნებას. თავისთავად არსებობასთან ერთად, ეს კულტურები ურთიერთზეგავლენასაც განიცდიდნენ. ამის საუკეთესო მაგალითია ქართული ქალაქური ფოლკლორის პლასტი, რომელიც სხვადასხვა ტრადიციათა სინთეზის შედეგად აღმოცენდა.

ქართველი ეთნომუსიკოლოგები ეროვნული ფოლკლორული ნიმუშების დაფიქსირებასთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდნენ საქართველოში მცხოვრები ხალხების მუსიკას. ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის ფუძემდებელმა დ. არაყიშვილმა XX ს. დასაწყისშივე ჩაიწერა აფხაზური და ოსური ფოლკლორის ნიმუშები. აფხაზური ჰანგები მან გამოაქვეყნა მოსკოვის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიული კომისიის შრომათა კრებულებში, ხოლო 1923 წ. შიდა ქართლში მის მიერ ცვილის ლიღვაკებზე ჩაწერილი 35 ოსური სიმღერა და ოსური მუსიკალური ფოლკლორის შესახებ მომზადებული სამეცნიერო ნაშრომის ხელნაწერი ინახება კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში (2006 წ. ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა იუნესკოს პროექტით შექმნილი ამ აუდიოჩანაწერების ციფრულ მატარებლებზე გადატანა და გამოცემა).

ოსური სიმღერები 1926 წ. ჩაწერილი აქვს კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძეს, რომელმაც იმავე წლის „Заря востока“-ში გამოაქვეყნა წერილი „ოსური ხალხური სიმღერები“ (ცნობილია, რომ ვ. დოლიძის დაუმთავრებელი ოპერა „ზამირა“ მთლიანად ოსურ მასალაზე იყო აგებული). ვ. დოლიძის მიერ ნოტირებული ოსური სიმღერები შეტანილია კრებულში «Осетинский музыкальный фольклор». М.-Л.1948.

ოსური მრავალხმიანობის საკითხს შეეხო პროფესორი შ. ასლანიშვილი თავისი სტატიის «Формы грузинского народного многоголосия» შესავალ ნაწილში (1954). ქართული და ჩრდილოკავკასიური კულტურების ურთიერთმიმართების კონტექსტში ოსური და აფხაზური ხალხური მუსიკის საკითხებზე მსჯელობენ ნინო მაისურაძე („ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები“. თბ. 1990) და მანანა შილაკაძე („ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი“. თბ. 2007). 1978 წ. ოსეთში ფოლკლორული ნიმუშები ჩაწერილი აქვს ო. ჩიჯავაძეს. ცოტა ხნის წინ (2009 წ.) გამოიცა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცული ოსური ხალხური სიმღერების ხელნაწერები, რომლებიც ეკუთვნით დ. არაყიშვილს, ა. მეგრელიძეს, ბ. ალაევს, გრ. ჩხიკვაძეს, გრ. კოკელაძეს, ვლ. კურტიდს და დ. თორაძეს. აღსანიშნავია, რომ სანოტო კრებულზე დართული აუდიოჩანაწერი მოამზადა სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა. გამომზეურებას ელის ამავე არქივში დაცული ებრაული ხალხური სიმღერების სანოტო ჩანაწერები, რომლებიც კომპოზიტორ შ. მშველიძის მიერ ახალციხის რაიონში არის მოპოვებული.

ქართველმა ლოტბარებმა, მუსიკისმცოდნეებმა და კომპოზიტორებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აფხაზური მუსიკის ჩაწერისა და შესწავლის საქმეში. ამ თალსაზრისით დიდია მეგრული სიმღერის პატრიარქად წოდებული დ. ლოლუას დამსახურება. პ. ანცულაიას, კ. გეგეჭკორის, გ. ჭელიძის გუნდების მიერ XX ს. 30-იან წწ. შესრულებული აფხაზური სიმღერები უნიკალური ჩანაწერების სერიით გამოსცა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრმა (იხ. „ქართული და აფხაზური ხალხური სიმღერები“. თბ. 2005, ჩ. II). ა. ბალანჩივაძისა და გრ. ჩხიკვაძის მიერ ნოტირებული აფხაზური მასალა წლების წინ სოხუმში ხალხური შემოქმედების სახლის არქივში იყო დაცული. 1956 წ. მოაწყო ექსპედიცია აფხაზეთში ვ. ახოზაძემ. მანვე ნოტებზე გადაიტანა და წიგნის სახით მოამზადა აფხაზური სასიმღერო და საკრავიერი მუსიკის ნიმუშები («Абхазские песни» М.1957). ამ

ექსპედიციის მიერ ჩაწერილი მასალიდან შერჩეული 16 ნიმუში შევიდა სულ ახლახანს გამოცემულ აუდიოალბომში „კავკასიელ ხალხთა მუსიკა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფონოარქივიდან“ (2010).

ცნობილია, რომ გრ. ჩხიკვაძეს თბილისში ჩაწერილი აქვს ებრაული და ასირიული ფოლკლორის ნიმუშები, რომლებიც სავარაუდოდ, მეცნიერის პირად არქივში უნდა იყოს შენახული. კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ფონოარქივში დაცულია 1954 წ. ვ. უმრ-შატის მიერ ჩაწერილი სომხური და 1958 წ. გრ. ჩხიკვაძისა და ვლ. ახოზაძის მიერ ჩაწერილი ქურთული სიმღერები.

სხვა ხალხთა ფოლკლორისადმი მეცნიერული ინტერესის ზრდას ადასტურებს ტრადიციული მრავალხმიანობის საკითხებისადმი მიძღვნილ ბოლო სიმპოზიუმზე ნ. ზუმბაძის და ქ. მათიაშვილის, აგრეთვე, მ. გელაშვილის მიერ წაკითხული მოხსენებები.

საქართველოში მცხოვრები ხალხების ტრადიციული მუსიკის ნიმუშების დაფიქსირება და შესწავლა თანამედროვე ქართული ეთნომუსიკოლოგიის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ნინო კალანდაძე-მახარაძე

ძველი პრესის ფურცლებზე

ქართველი თუ არაქართველი ახალგაზრდა მეცნიერების დიდმა ინტერესმა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედებისადმი, ვადა-გვაწვევტინა ჩვენს ბიულეტენში ახალი რუბრიკა შემოგვეტანა. ძველი პრესის ფურცლებზე გაფანტული, ქართველი მკვლევრების წერილები არაერთ საყურადღებო მოსაზრებას შეიცავს ქართული ფოლკლორის შესახებ, რომლებსაც არც დღეს დაუკარგავს აქტუალობა; ბევრ მათგანში ჩანს უცხოელთა დამოკიდებულებაც ჩვენი საგანძურისადმი. დასანანიია, რომ ეს წერილები მხოლოდ პრესის ფურცლებს შემორჩა და დროის დინებამ ჩრდილში დატოვა. მათ შორის ყველაზე საინტერესო სტატიებს ჩვენი მკითხველი ბიულეტენის მეშვეობით გაეცნობა. ამჯერად გთავაზობთ ოთარ ჩიჯავაძის სტატიას



ოთარ ჩიჯავაძე
მუსიკათმცოდნე

„მუსიკა იპყრობს მრავალთა გულს“

გაზეთი „კომუნისტი“, 1962 წ. №287


ქართულმა ხალხურმა სიმღერამ ადრევე მიიქცია საყოველთაო ყურადღება თავისი თვითმყოფი და მაღალმხატვრული ბუნებით. თუ წინათ ხალხური სიმღერა მცირერიცხოვან ენთუზიასტთა კვლევა-ძიების სფეროს შეადგენდა, ამჟამად იგი საყოველთაო ყურადღებით არის მოსილი. პროფესორები შ. ასლანიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, შ. მშველიძე და მათი აზალგაზრდა მიმდევრები დიდი გულისხმიერებით ეწევიან ხალხური საუნჯის შეკრებას, ჩაწერასა და გამოკვლევას.

ამ მსრივ ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს თბილისის ვ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, რომლის ფოლკლორულმა ექსპედიციებმა უნიკალური მასალა მოიპოვა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე. ანსაკუთრებული ყურადღების ღირსია ოთხხმიანი ნადური სიმღერები, რომლებიც გურიის და აჭარის რაიონებში ჩაწერა მუსიკათმცოდნე ვლადიმერ ახოზაძის ექსპედიციემ.

აჭარის რაიონებში მოპოვებულ ხალხურ სიმღერებზე დაყრდნობით ვ. ახოზაძემ გამოსცა მეცნიერული ნაშრომი „ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები“, სადაც მოცემულია ვრცელი გამოკვლევა ქართულ ხალხურ სიმღერებში არსებულ ოთხხმიანობაზე 80 სიმღერის სანოტო მაგალითით. კვლევითი ნაწილი ქართულ და რუსულ ენებზეა, ანოტაცია კი – ინგლისურ ენაზე.

აღნიშნული ნაშრომი ქართული მუსიკალური ფოლკლორით დაინტერესებულ უცხოელ მუსიკ

კოსებს გადაეგზავნათ რუმინეთში, გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, პოლონეთში, უნგრეთსა და ბულგარეთში.



ბერლინიდან ვ. ახოზაძის სახელზე მოსულ წერილში მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის ინსტიტუტის დირექტორი ერის შტოკმანი გამოხატავს კრებულის მიღებით გამოწვეულ აღფრთოვანებას: „მე ძალიან მახარებს, რომ მაქვს ქართული ხალხური სიმღერების თქვენი ძვირფასი კრებული“. ერის შტოკმანს განზრახული აქვს დაწეროს რეცენზია ამ კრებულზე ერთ-ერთი გერმანული ჟურნალისათვის, ხოლო 1963 წელს ჩამოვიდეს თბილისში და საფუძვლიანად გაეცნოს ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას, კერძოდ კი, ოთხხმიან ხალხურ სიმღერას.

ლონდონის საერთაშორისო ხალხური მუსიკის საბჭოს მდივანი მაუდ კარპელესი იუწყება: „მივიღე თქვენი წიგნი ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერების შესახებ. ძალიან მოხარული ვარ და ვიმედოვნებ, რომ შეგძლებთ მის განხილვას ჩვენი ჟურნალის მორიგ გამოშვებაში“.

უცხოელ მკვლევართა ინტერესი ქართული ხალხური სიმღერის მიმართ ამით არ ამოწურება. მრავალი მათგანი ეწვია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას და ადგილზე გაეცნო ქართული ხალხური სიმღერის ჩანაწერებს.

ამ ორიოდ წლის წინათ საქართველოში სტუმრად იყვნენ პოლონელი მუსიკათმცოდნეები პროფ. ი. ხომინსკი და ქ. ვილკოვსკა. ისინი აღფრთოვანებული არიან ქართული ოთხხმიანი ნადურების გაცნობით. პოლონეთში დაბრუნების შემდეგ მათ გამოაქვეყნეს სტატია მუსიკის

ისტორიის, თეორიის და თეატრმცოდნეობისადმი მიძღვნილ პოლონურ ჟურნალ „მუსიკაში“ (1960წ, №3) და აღნიშნეს, რომ ვლ. ახოზაძის ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერები დიდ საგანძურს წარმოადგენს მსოფლიო მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში. ქ. ვიკლოვსკა გამოთქვამს სურვილს, მიიღოს სპეციალიზაცია ქართული მუსიკის დარგში, რომ შექმნას სპეციალური გამოკვლევა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორზე. „დიდი სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო ქართული ხალხური სიმღერების შეგროვებაში“ – დასძენს ვიკლოვსკა.

1960 წელს პარიზში მოწვეულ იქნა მუსიკოს-ფოლკლორისტა მსოფლიო კონგრესი, რომელთა მონაწილეებსაც პოლონელმა მუსიკათმცოდნეებმა გააცნეს ქართულ ხალხურ სასიმღერო ხელოვნებაში შემორჩენილი ოთხმიანიობის ნიმუშები, რამაც დიდი ინტერესი აღძრა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ხალხურ შრომის სიმღერებში დაცული ოთხმიანიობა მსოფლიო მუსიკალურ ფოლკლორში განუმეორებელი ფაქტია.

ფრანგმა მუსიკათმცოდნემ ი. გრიმომ გადაწყვიტა, სპეციალურად შეისწავლოს ეს საკითხი. იგი დიდად გაუტაცნია მდიდარ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს. აი, რას სწერს ი.

რიმო ვლ. ახოზაძეს: „ნება მიბოძეთ, გადმოგცეთ გულწრფელი მადლობა იმ ძვირფასი ნაშრომისთვის, რომელიც თქვენ კეთილინებეთ ჩემთვის გამოგეგზავნათ. ქალბატონმა ვიკლოვსკა-ხოშინსკიმ პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის საშუალებით მომაწოდა თქვენი ადრინდელი ნაშრომი „ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული“, რომელიც ჩვენ ახლახან გადავთარგმნეთ ფრანგულ ენაზე... დაკავშირებული ვარ ეროვნულ კვლევით ცენტრთან და ვამზადებ სადიპლომო შრომას „ქართლისა და კახეთის ვოკალური პოლიფონიის პარალელური სტრუქტურების შესწავლა“. როგორც ამ წერილიდან ირკვევა, გრიმოს უკვე დაუწყია ქართული ენის შესწავლა.

გასულ წელს თბილისში ქართული მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტს ეწვია პოლონელი მუსიკათმცოდნე მ. პილარსკი. მან საგანგებოდ შეისწავლა ქართული ხალხური სიმღერები, გაეცნო ამ საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას და სამშობლოში დაბრუნებულმა პოლონურ ჟურნალ „მუსიკალურ ცნობარში“ (ლოდის სახალხო მუსიკალური ინსტიტუტის ორგანო. 1961წ. №10) გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც პოლონელ მკითხველს აცნობს ქართულ კულტურასა და ხელოვნებას, კერძოდ, მუსიკალურ ფოლკლორს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში ქართულ სიმღერას არ მიუღწევია განვითარების ასეთი საფეხუ-

რისათვის. უსმენო და გაოცებოთ გამომსახველობით აღსავსე ნადური სიმღერები“.

ახლახან ვ. ახოზაძემ ბუდაპეშტიდან მიიღო ქართულ ენაზე დაწერილი მ. იშტვანოვიჩის წერილი: „მაპატიეთ, რომ უცნობი გახლავართ თქვენთვის და ახელს გიშლით ბარათით, მით უმეტეს, თხოვნითაც კი! ჟურნალ „ლიტერატურული აჭარიდან“ გავიგე თქვენი ნაშრომის შესახებ („ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები“). ვინაიდან ფოლკლორისტი ვარ, თბილისში დავამთავრე ასპირანტურა და ახლა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის დოცენტი ვარ ფოლკლორისტიკის კათედრაზე, თქვენი წიგნი დიდად მაინტერესებს... გთხოვთ, თუ ზედმეტი ეგზემპლარი გაქვთ კიდევ, გამომიგზავნოთ“.

უცხოელთა აღტაცება ქართული ხალხური სიმღერით შემთხვევითი არ არის. ეს უკანასკნელი სავსებით ღირსია ამ ყურადღებისა, და მით უფრო სასურველია, ფართო ასპარეზი დაეთმოს ქართველი ხალხის ამ სულიერი საუნჯის კიდევ უფრო გულმოდგინე შესწავლას.

ერთი სიმღერის ისტორია

„შავლეგო“

„შავლეგო“ საქართველოში ყველასათვის ცნობილი და საყვარელი სიმღერაა; სიმღერა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიდან (გასული საუკუნის 80-იანი წლები), საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. დღეს ის პატრიოტულ სიმღერად მიიჩნევა და ყოფილა შემთხვევა, როდესაც მისი აქტების შემდეგ ჩვეულებრივი საზოგადოებრივი შეხვედრაც მიტინგად ქცეულა.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში „შავლეგო“ აუცილებლად ფერხულად სრულდებოდა და გაგრძელებული ყოფილა: ქართლ-კახეთში, მესხეთში, იმერეთსა და რაჭაში. იმერული „შავლეგო“ იმ მხრივაც გამოჩენილი, რომ ამ კუთხეში, საფერხულო სიმღერების სიმცირის ფონზე, აღნიშნული ჟანრის ერთ-ერთი იშვიათი ნიმუშია. ამგვარად აღგვიწერს იმერული „შავლეგოს“ შესრულებას ანდრია ბენაშვილი: „მომღერლები გააკეთებენ მოზრდილ წრეს, ხელს ხელში ჩაავლებენ, ფეხების აყოლით და თან ხელების ქნევით უვლიან

გარშემო და მდერიან შავლეგოს. ამას რომ გაათავებენ, ხელებს გაუშვებენ და იწყობენ „სოლოდას“ ლექსს“. ვალერიან მაღრაძის მიერ მესხეთში ჩაწერილი „შავლეგო“ მესხური მრავალხმიანობის, კერძოდ ორხმიანობის იშვიათი მაგალითია. რაჭაში ამ სიმღერის მხოლოდ ტექსტია ჩაწერილი. „შავლეგოს“ ყველაზე მეტი ვარიანტი კახეთმა შემოინახა. ამ სიმღერის საყოველთაოდ ცნობილი ვარიანტი კი ტიპური ქართლური ფერხულია.

დღეს გავრცელებული მოსაზრების თანახმად, „შავლეგო“, ცნობილი ქართველი მხედართმთავარი შალვა ახალციხელია. ლაშა-გიორგის მემკვიდრის დახასიათებით: „არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“, რომელიც თამარის პერიოდში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლის მონაწილე იყო და უმეტესად ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიოდა. 1225 წელს ქართველებმა მძიმე მარცხი განიცადეს გარნისში ხვარაზმელებთან ბრძოლაში, წინამბრძოლი კვლავაც შალვა ყოფილა. ბრძოლით დაღლილი, სავარაუდოდ, დაჭრილი ახალციხელი ცხენიდან ჩამოვარდნილა და დაღუპულთა შორის ჩასძინებია. სწორედ ამგვარად ჩავარდნია ტყვედ ჯაღალ ად-დინს. ერთი ვერსიით, შალვას რჯული, ქრისტიანობა არ დაუთმია და მაშინ მოუკლავთ. მეორე ვერსიით კი, სულთანმა ახალციხელს დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სამი ქალაქი აჩუქა და სანაცვლოდ მისი საქართველოს წინააღმდეგ გამოყენება სცადა. შალვას მტრის გეგმის შესატყობინებლად მსტოვარი გაუგზავნია საქართველოში. მსტოვარი დაუჭერიათ, შალვა კი სიკვდილით დაუსჯიათ.

ზემოთ მოყვანილი სიუჟეტის ანარეკლს „შავლეგოს“ თითქმის ყველა ვარიანტში ვხვდებით. მას გარკვეულწილად ესადაგება კახეთში გავრცელებული ერთ-ერთი „შავლეგოს“ შინაარსი: შავლეგო ყოფილა გმირი ვაჟკაცი, სწორამხანაგის გამტანი, მაგრამ შემთხვევით ხელში ჩავარდნია თურქებს. ტყვედ ჩავარდნილი მის ძმებს დაუხსნიათ. ფერხულის შიგნით დგას თურქებისგან დატყვევებული შავლეგოს როლის პანტომიმურად ამსრულებელი; ის თავჩაღუნუ-

ლი, დაღონებულია, მის გარშემო ფერხული უვლის და მდერის: „შავლეგ, შენსა ლურჯაზედა ვილაც გადაბოტებულა, შავლეგ მაღლა აიხედე, შენი ძმები მოდიანო, შავლეგ ძმებსა მიეგებე...“ როდესაც ფერხული მდერის „შავლეგ, მაღლა აიხედე, შენი ძმები მოდიანო“, შავლეგოს როლის ამსრულებელი გულხელდაკრეფილი აიხედავს მაღლა, გამხიარულდება და შეუერთდება მომღერალთ, სიმღერა მხიარულდება და სათამაშოში გადადის.

„შავლეგოს“ მუსიკალური, ქორეოგრაფიული და ზოგიერთი ვარიანტის სიტყვიერი მხარე შესაძლოა, ამ სიმღერის უფრო ძველ წარმოშობაზეც მიუთითებდეს. „შავლეგოს“ უმეტესობა მიეკუთვნება ფერხულების იმ სახეობას, რომლისთვისაც დამახასიათებელია „ფერხულის შიგნით მოთამაშე“. ასეთი ფორმა მთელ საქართველოშია გავრცელებული და ძირითადად საწესო-სარიტუალო სიმღერებში გვხვდება. გრაფიკულ ნახაზს – წრესა და მასში ჩასმულ წერტილს – საკმაოდ დიდი რიტუალური და სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამას გარდა, „შავლეგო“ სრულდებოდა ისეთი ძველი წარმოშობის ხალხურ თეატრალურ სანახაობებში, როგორცაა ბერიკაობა-ყვენობა. საყურადღებოა ისიც, რომ დიმიტრი არაყიშვილის მიერ ჩაწერილი „შავლეგო“ გრძელდება საკულტო ტექსტით: „ოი, კვირა და ცხოველო და ცხოველო! შენ სალოცავად მოველო“. „შავლეგოს“ ზოგიერთ ვარიანტში რეფრენად გამოყენებულია გაურკვეველი სიტყვები „ანიკო და მანანა“, ხოლო ზოგჯერ სიმღერას „ყარანას“ ტექსტიც კი ებმის. ყოველივე ზემოთ თქმული კი იმაზე მეტყველებს, რომ ეს ფერხული ემიჯნება მხოლოდ საგმირო-საისტორიო სიმღერებს და გარკვეულწილად საწესო-სარიტუალო ნიშნებს ავლენს. შესაძლოა, ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში არსებული სხვადასხვა ჟანრის სიმღერის თანდათან, ისტორიული ვითარებიდან და მოთხოვნილებიდან გამომდინარე, გმირულ-პატრიოტულ სიმღერად ქცევის ტენდენცია გარკვეულწილად „შავლეგოზეც“ ასახულიყო.

ოთარ კაპანაძე

შავლეგო

ჩან. ა. ანდრიაშვილმა და
ვ. მახარაძემ

დინჯად Andante

System 1:
 I: შავლეგ, შე - ნი შა - ვი ჩო-ხა, შავლე - გო
 II: გო შავლეგ, შე - ნი

System 2:
 I: სისხლში გა - გი - ხა - მე - ბი-ა, შავლე -
 II: შა - ვი ჩო-ხა, შავლე - გო

System 3:
 I: გო
 II: გო სისხლში გა - გი - ხა - მე - ბი - ა, შავლე - გო

შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო
 სისხლში გაგიხამებია, შავლეგო
 ყანიმები გიხდებოდა, შავლეგო
 მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, შავლეგო
 მაშველი არ გჭირდებოდა, შავლეგო